პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 234 (10010) | შაბათი, 2 ოქტომბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

## დღეს ნომერში:

საბჭოთა საქართველოს დღე (1-ლი გვერდი).
**მ. გიორგაძე.** — სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა (მე-2 და მე-3 გვერდი).
**დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში.** — მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო. ქუთაისელი კომუნისტები თეორიულ დონეს იმაღლებენ. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებთან (მე-2 გვერდი).
სამხრეთ ოსეთში ხვნა-თესვა ჭიანურდება (მე-2 გვერდი).
დავაჩქაროთ საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაცია (მე-3 გვერდი).
ახალი სეზონი მარჯანიშვილის თეატრში (მე-3 გვერდი).
**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია.** — [illegible] (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმე

საბჭოთა ხალხმა სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენას სამართლიანად უწოდა სახალხო უნივერსიტეტი. გამოფენა მკაფიოდ ასახავს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული პოლიტიკის დიდ გამარჯვებას სოციალისტურ სოფლის მეურნეობაში.

საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა მუშაობის ძვირფასი და შემოწმებული მეთოდების პროპაგანდა და პრაქტიკაში დანერგვა სოფლის მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ჩვენს დროში მეურნეობის გაძღოლა ისე, რომ ანგარიში არ გაუწიო მოწინავე კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების გამოცდილებას, იმას ნიშნავს, რომ აშკარად განუმზადო მას ჩამორჩენა.

მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ოსტატთა მოწინავე გამოცდილების პრაქტიკაში გამოყენება სასოფლო პარტიული ორგანიზაციების ღვიძლი საქმეა. ამ მხრივ უთუოდ მოწონების ღირსია პარტიის მახარაძის რაიკომის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი. ჯერ კიდევ აგვისტოში რაიონული კომიტეტის ბიურომ სპეციალურად განიხილა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის საკითხი და დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი. მათ შესასრულებლად რაიკომი აწყობს გამოფენის ექსკურსანტთა გამოსვლებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ზრუნავს ნოვატორთა მიღწევების პრაქტიკაში გამოყენებისათვის. რაიონის მშრომელთა შორის ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. რაიონული კომიტეტი გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდას უნარიანად უკავშირებს ბრძოლას სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილი დარგებისა და კოლმეურნეობების წინ წამოწევისათვის. კოლმეურნეობები დიდ მუშაობას ეწევიან მეცხოველეობის განვითარებისათვის, ხორციელდება ღონისძიებანი პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისა და კულტურული ბინების აგებისათვის.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების ფართო პროპაგანდას ეწევიან მცხეთის რაიონის პარტიული ორგანიზაციები. ნოვატორთა მიღწევების პროპაგანდა მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ მიღწევების საკოლმეურნეო წარმოებაში პრაქტიკულად გამოყენებასთან, საშემოდგომო სამუშაოების ჩატარებასთან. ამის მაგალითს წარმოადგენს მცხეთის მტს-ის პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. აქ თავიდანვე დიდი ყურადღებითა და პასუხისმგებლობით მოეკიდნენ გამოფენის ექსკურსანტთა შერჩევას. ექსკურსანტებმა გამოფენაზე დეტალურად შეისწავლეს ნოვატორთა მუშაობის მოწინავე ხერხები და მეთოდები, რომელთა გამოყენება შეიძლება მცხეთის რაიონის პირობებში. თავიანთ მდიდარ და საინტერესო შთაბეჭდილებებზე მათ საინტერესოდ მოუთხრეს კომუნისტ-მექანიზატორთა ღია კრებას.

განსაკუთრებით დიდი ინტერესი გამოიწვია კოლმეურნე მეცნიერის ტ. მალცევის მეთოდმა. პარტიულმა კრებამ მოიწონა ექსკურსანტთა წინადადება და დაადგინა გამოიყოს საცდელი ნაკვეთები ტ. მალცევის მეთოდის დასანერგავად. ამ წინადადებას აქტიურად დაუჭირა მხარი პარტიის მცხეთის რაიკომმა. საცდელი ნაკვეთები გამოიყო სოფელ წილკნის ხრუშჩოვის სახელობის, ერედის ვოროშილოვის სახელობისა და მისაქციელის კიროვის სახელობის კოლმეურნეობებში. მტს-ის სახელოსნოში პლანტაჟის გუთანი „პპ-50" გადააკეთეს ტ. მალცევის გუთნის მსგავსად და პრაქტიკულად შეუდგნენ მუშაობას.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა უკვე დაათვალიერა ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების ასობით ადამიანმა. მაგრამ გამოფენის დათვალიერება და იქ მოწინავე გამოცდილების შესწავლა მხოლოდ დასაწყისია. მთავარი და მნიშვნელოვანი ის არის, რომ პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, გამოფენიდან დაბრუნებულმა ექსკურსანტებმა ნამდვილად მოჰკიდონ ხელი მოწინავე გამოცდილებისა და მეცნიერების მიღწევების პრაქტიკულად დანერგვას.

სამწუხაროდ, ბევრი სასოფლო პარტიული ორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა გამოცდილების შესწავლასა და ამ გამოცდილებით კოლმეურნეობებისა და მექანიზატორების შეიარაღებას. ეს პირდაპირ შეეხება პარტიის სტალინირის რაიკომს, რომელმაც ვერ შეძლო გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პრაქტიკულად გამოყენება საშემოდგომო სამუშაოთა ტემპის დასაჩქარებლად. რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში მივიწყებულია უხვი მოსავლის ოსტატთა მიღწევების პროპაგანდა, სუსტად არის გაშლილი სოციალისტური შეჯიბრება 1955 წელს სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის. სრულიად თავმინებებულია გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა სოფელ ძარწემის კოლმეურნეობა „სოციალისტურ შრომაში". აგიტატორები ბ. მინდიაშვილი, მ. კახნიაშვილი, მ. ჭოველიძე და სხვები შეუწყნარებელ უმოქმედობას იჩენენ.

არადამაკმაყოფილებლად მუშაობს მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდისა და დანერგვისათვის პარტიის ამბროლაურის რაიკომი, რომელიც თავიდანვე უპასუხისმგებლოდ მოეკიდა გამოფენის დამთვალიერებელთა შერჩევას. რაიონული კომიტეტის მუშაკებმა ანგარიში არ გაუწიეს იმას, რომ ისეთ შესანიშნავ სკოლაში, როგორიც არის გამოფენა, ადამიანები უნდა წავიდნენ არა სასეირნოდ, არა დასასვენებლად, არამედ სასწავლად! სწორედ ამის დავიწყებამ გამოიწვია ის, რომ ამბროლაურიდან გამოფენის დასათვალიერებლად გაგზავნეს რაისაბჭოს აღმასკომის განყოფილებათა მუშაკები, სარემონტო კანტორის უფროსი, რაიკავშირის საქონელმცოდნე, რაიონული ცენტრის სასადილოს გამგე, ნოტარიუსი და სხვები, ხოლო მთელ რიგ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებსა და ბრიგადირებს ჯერ დაჰპირდნენ მოსკოვში გაგზავნას, ხოლო შემდეგ უარი უთხრეს. განა ასე უნდა გამოფენის ექსკურსანტთა შერჩევა? ეს ხომ მოწინავე გამოცდილების პროპაგანდისა და წარმოებაში დანერგვის უდიდესი მნიშვნელობის აშკარა შეუფასებლობაა!

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელები დეკლარაციებსა და მოწოდებებს კი არ უნდა ადგენდნენ ნოვატორთა მიღწევების პრაქტიკაში გამოყენების შესახებ, არამედ მოვალენი არიან თვითონ შეისწავლონ მოწინავე გამოცდილება და იყვნენ კოლმეურნეობებში, მტს-ებსა და საბჭოთა მეურნეობებში ამ მიღწევების დანერგვის აქტიური ორგანიზატორები. ამ მიზნით სასოფლო პარტიულმა ორგანიზაციებმა უნარიანად უნდა გამოიყენონ პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა ფორმა. მათი მოვალეობაა გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების გასავრცელებლად სისტემატურად მოაწყონ ლექციებისა და მოხსენებების კითხვა, ამ საქმეში უფრო აქტიურად ჩააბან რაიონული და ძირეული პრესა; ცოცხლად, საინტერესოდ და დამაჯერებლად მოუთხრონ მშრომელთ საკოლმეურნეო წარმოების ნოვატორთა შესანიშნავ მიღწევებზე — ეს სოფლის აგიტატორთა კეთილშობილური მოვალეობაა.

გამოფენის მონაწილეთა გამოცდილების პროპაგანდა და წარმოებაში დანერგვა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის მძლავრი წყაროა. სასოფლო პარტიული ორგანიზაციების, ყველა კომუნისტის უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა ამ შესანიშნავი გამოცდილებით შეაიარაღოს ყველა კოლმეურნეობა, მტს-ი და საბჭოთა მეურნეობა და ამით წარმატებით გადაწყვიტოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები.

# მაო ძე-დუნმა მიიღო საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაცია

პეკინი, 30 სექტემბერი. (საქდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა 30 სექტემბერს დღის 3 საათზე მიიღო საბჭოთა მთავრობის დელეგაციის (რომელიც ჩინეთს ჩამოვიდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მეხუთე წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად) ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე დელეგაციის წევრები: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიქოიანი, პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე ნ. მ. შვერნიკი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი გ. თ. ალექსანდროვი, გაზეთ „პრავდის" მთავარი რედაქტორი დ. ტ. შეპილოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივანი ე. ა. ფურცევა, უზბეკეთის სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრი ი. ს. ნასრიდინოვა, სსრ კავშირის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში პ. ფ. იუდინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე ვ. პ. სტეპანოვი.

მიღებას დაესწრნენ ჯუ დე, ლიუ შაო-ცი, ჯოუ ენ-ლაი, ჩენ იუნი, დუნ ბი-უ, ლინ ბო-ძიუ, პინ დე-ხუაი, პინ ჯენი, დენ სიაო-პინი, დენ ძი-ხუეი, ლი ფუ-ჩუნი.

# საბჭოთა საქართველოს დღე

★ ★

### საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

## მაღაროელები ვალდებულებებს ასრულებენ

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქში საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორად ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი გამოვიდა. მან გადიდებული ვალდებულებები იკისრა და ყველა მაღაროს მოუწოდა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ დიად დღესასწაულს.

მაღაროელები საქმით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ლენინისა და ორჯონიკიძის სახელობის მაღაროთა კოლექტივებმა ვადაზე ორი კვირით ადრე შეასრულეს ცხრა თვის დავალება და მარგანეცს ოქტომბრის ანგარიშში იძლევიან.

ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც იბრძვის 7 ნოემბრისათვის თერთმეტი თვის გეგმის შესასრულებლად, ახლა ყოველდღიურ დავალებებს 105-108 პროცენტით ანაღდებს. სადღეღამისო გეგმებს 108-112 პროცენტით ასრულებენ მესამე და მეოთხე უბნები, რომლებსაც მ. კენჭოშვილი და ვ. თაბაგარი ხელმძღვანელობენ. მაღალნაყოფიერი შრომის მაგალითებს იძლევიან წარჩინებული მაღაროელები პ. მიროტაძე, ა. თაბაგარი, ბ. გურაბანიძე, კ. თაბაგარი და სხვები.

ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ დიმიტროვისა და კაგანოვიჩის სახელობის მაღაროთა კოლექტივები, რომლებიც გადაჭარბებით ანაღდებენ პირველი ხარისხის მარგანეცის გამოშვებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმებს.

## რკინიგზელთა შრომითი მიღწევები

ხაშურის რკინიგზის საწარმოებმა უკვე მოიპოვეს პირველი წარმატებანი საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებაში.

ხაშურელმა მეელმავლეებმა ერთ თვეში გადაიყვანეს 68 მძიმე წონის მატარებელი და გეგმის გადამეტებით 13.704 ტონა ტვირთი გადაზიდეს. ახალგაზრდა მემანქანემ ვასილ გერჩენოვმა წელს 16 მძიმე წონის მატარებელი გაატარა სურამის რთულპროფილიან საუღელტეხილო გზაზე და ნორმის გადამეტებით გადაზიდა 4.231 ტონა ტვირთი, მნიშვნელოვნად გაზარდა ელმავლის ტექნიკური სიჩქარე და სადღეღამისო გარბენა, მატარებლებს უწუნოდ, უავარიოდ ატარებს. თავი ისახელეს აგრეთვე სახელმოხვეჭილმა მემანქანეებმა მ. ტყეშელაშვილმა, ი. ლაბაძემ, ლ. მანჯავიძემ, თ. გოსტიევმა.

მევაგონეებმა სექტემბერში წლიური შეკეთებიდან ვადაზე სამი დღით ადრე გამოუშვეს 76 ვაგონი, ხოლო საშუალო შეკეთებიდან — 16 ვაგონის ნაცვლად 17 ვაგონი. მნიშვნელოვნად შემცირდა ავადმყოფი ვაგონების შეკეთებაში დგომის დრო. რვა თვეში დაზოგილია 150.000 მანეთი. კვანძის საწარმოებში გაჩაღებულია ზამთრისათვის მზადება. (საკ. კორ.).

## წალენჯიხის რაიონმა შეასრულა ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა

წალენჯიხის რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა 26 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. მოკრიფა და ჩაის ფაბრიკებს ჩაბარდა 5.470 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც წლიური გეგმის 100,1 პროცენტს შეადგენს.

რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს სეზონის დამლევამდე გეგმის გადამეტებით მოკრიფონ 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

## აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა შესრულდა

ბოლნისი. (საკ. კორ.). რაიონის კოლმეურნეობებმა 100,3 პროცენტით შეასრულეს აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა. ნაცვლად 130 ცენტნერისა დამზადებულია 130,61 ცენტნერი პარკი.

სოფელ ხიდისთავის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობამ აბრეშუმის პარკის დამზადების წლიური გეგმა 137,2 პროცენტით შეასრულა, ქვახვრელის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობამ — 128 და კარალეთის კოლმეურნეობა „გამარჯვებამ" — 153,4 პროცენტით.

## მახარაძის რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების მყნობის გეგმა

მახარაძე, 30 სექტემბერი. (საქდესი). მახარაძის რაიონმა ვადამდე და გადაჭარბებით შეასრულა ციტრუსების მყნობის წლიური გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 1.175 ათასის ნაცვლად დამყნობილია 1.365 ათასი ციტრუსოვანი ხე.

მყნობის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ურეკის სახელმწიფო სანერგემ, სოფელ ნატანების ლენინის სახელობის, სოფელ ასკანის ვოროშილოვის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებმა.

ციტრუსოვანთა მყნობა გრძელდება.

## მწყობრში ჩადგა ავეჯის ახალი საწარმო

ჩვენი რესპუბლიკის მოქმედ ფაბრიკა-ქარხნებს შეემატა კიდევ ერთი ახალი მსხვილი საწარმო — თბილისის ავეჯის კომბინატი. უკვე კარგა ხანია დამთავრდა მანქანა-დანადგართა დამონტაჟება კომბინატის საფანერო და სახერხ საამქროებში. რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა მათი გამოცდა, არსებულ ტექნიკურ ნაკლოვანებათა გამოსწორება, რის შემდეგ ეს საამქროები საექსპლოატაციოდ გადაეცა. საფანერო და სახერხმა საამქროებმა უკვე მოგვცეს პირველი პროდუქცია. მეოთხე კვარტალში გამოშვებულ იქნება დაახლოებით 520 ათასი კვადრატული მეტრი თლილი ფანერა ავეჯის დამამზადებელ საწარმოთა საჭიროებისათვის.

მემონტაჟეები შეუდგნენ მანქანებისა და მექანიზმების აწყობას და გამართვას საამქროში, რომელიც დაამზადებს ნახევარფაბრიკატს ავეჯის წარმოებისათვის. საამქრო ოქტომბერში ამუშავდება. მალე მწყობრში ჩადგება კომბინატის სხვა საწარმოებიც.

1955 წელს კომბინატი გამოუშვებს 16 მილიონი მანეთის მზა პროდუქციას — ავეჯს, თლილ ფანერას და სხვ. შემდეგი წლიდან კი, როდესაც კომბინატი მთელი სიმძლავრით ამუშავდება, ყოველწლიურად მოგვცემს დაახლოებით 30 მილიონი მანეთის მაღალი ხარისხის ნაწარმს.

## დაიწყო რეჰანის გადამუშავება

თელავი. (საკ. კორ.). ნაფარეულის ეთერ-ზეთების ქარხანამ წელს გეგმით 207 ტონა რეჰანი უნდა გადაამუშაოს. ფაქტიურად იმის გამო, რომ კოლმეურნეობები დიდ მოსავალს იღებენ, ქარხანას სამას ტონაზე მეტის გადამუშავება მოუხდება.

ეთერ-ზეთების ქარხანამ პირველი რამდენიმე ათეული ტონა რეჰანი უკვე გადაამუშავა. თვითეული ტონა რეჰანიდან მიიღო 4 კილოგრამი ეთეროვანი ზეთი, გეგმა კი 3,2 კილოგრამს ითვალისწინებს. წელს რეჰანის განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოიყვანა ყარაჯალის ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ.

# რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრებზე

## მოწინავე სატრაქტორო ბრიგადები

სიღნაღი. („კომუნისტის" კორ.). ალაზნის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საშემოდგომო თესვა მასობრივად გაჩაღდა. სოფელ ქვემო მაჩხაანის მახარაძის სახელობის, ძველი ანაგის სტალინის სახელობის და ბოდბისხევის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობებმა საშემოდგომოდ უნდა დათესონ 4.600 ჰექტარი. უკვე დათესილია ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად 1.600 ჰექტარზე მეტი.

თესვაში თავი ისახელეს ალაზნის მტს-ის № 7 სატრაქტორო ბრიგადამ, რომელსაც ხელმძღვანელობს მიხეილ ლაზარიაშვილი, და № 4 სატრაქტორო ბრიგადამ (ბრიგადირი გ. ასანიშვილი). თესვის ყოველდღიურ დავალებებს გადაჭარბებით ასრულებენ მექანიზატორები შ. ბენაშვილი, ბ. ჭუჭულაშვილი და უ. მოსულიშვილი.

## დავალება გადაჭარბებით შეასრულა

ლენინგორი. („კომუნისტის" კორ.). წარმატებას მიაღწია ლენინგორის მტს-ის კომკავშირელმა ტრაქტორისტმა რ. ბიჩენოვმა. მან „დტ-54" მარკის ტრაქტორით საშემოდგომოდ მოხნა 267 ჰექტარი ნაცვლად 180 ჰექტარისა. აღსანიშნავია, რომ რ. ბიჩენოვმა გეგმის ზევით ჯვარედინად დათესა 100 ჰექტარი.

მოწინავე ტრაქტორისტი რ. ბიჩენოვი ენერგიულად განაგრძობს მუშაობას სოფელ ქურთას კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობაში. მის მიერ შესრულებული სამუშაო მაღალხარისხოვანია.

საშემოდგომო სამუშაოთა შესრულების დროს რ. ბიჩენოვმა 2 ათასი კილოგრამი საწვავი დაზოგა.

## ნაკისრ ვალდებულებებს ანაღდებენ

ახალციხე. (საკ. კორ.). მექანიზატორთა შორის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ ახალციხის მტს-ის ტრაქტორისტები ი. ფეიქრიშვილი და გ. გაბრელიანი.

ი. ფეიქრიშვილმა სატრაქტორო სამუშაოთა წლიური გეგმა რბილ ხვნაზე გადაყვანით 20 სექტემბრისათვის 100 პროცენტით შეასრულა და 483 კილოგრამი საწვავი დაზოგა. იგი თესვას პირველი შეუდგა სოფელ კლდის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში და ერთი კვირის განმავლობაში 80 ჰექტარის ნაცვლად 102 ჰექტარი დათესა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებაში წინ მიდის ტრაქტორისტი გ. გაბრელიანი, რომელიც ი. ფეიქრიშვილს ეჯიბრება. მანაც წლიური გეგმა შეასრულა და ხორბლის თესვა გააჩაღა სოფელ მუსხის წითელი ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობაში. 6 დღის განმავლობაში 90 ჰექტარი ხორბალი დათესა, გეგმა კი 70 ჰექტარს ითვალისწინებდა.

მოწინავე მექანიზატორთა ვალდებულებაა საშემოდგომო თესვის დავალება 150 პროცენტით შეასრულონ.



საშემოდგომო ხორბლის თესვა ვიწრო მწკრივებად ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში".
ფოტო შ. გოქაძისა.

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო კრება მოსკოვში

30 სექტემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართა საზეიმო კრება, მიძღვნილი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავისადმი. კრება მოაწყეს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოებამ, სსრ კავშირის კულტურის სამინისტრომ, საბჭოთა მწერლების კავშირმა, მშვიდობის დაცვის საბჭოთა კომიტეტმა, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტურმა კომიტეტმა, საბჭოთა ახალგაზრდობის ანტიფაშისტურმა კომიტეტმა და პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელმა საკავშირო საზოგადოებამ.

დამსწრეთა შორის არიან ჩინეთისა და მონღოლეთის პროფკავშირულ დელეგაციათა წევრები, ინდოეთის კინემატოგრაფიის მოღვაწეები, ვიეტნამ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია, რომლებიც სტუმრად იმყოფებიან სსრ კავშირში, აგრეთვე მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

კრება გახსნა სსრ კავშირის კულტურის მინისტრის პირველმა მოადგილემ ს. ვ. კაფტანოვმა. გამოხატა რა ყველა დამსწრის გრძნობა, მან მხურვალედ მიულოცა დიდ ჩინელ ხალხს სახელოვანი წლისთავი და სულითა და გულით უსურვა მას შემდგომი წარმატებანი ახალი ჩინეთის მშენებლობაში.

სიტყვა მოხსენებისათვის „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის მეხუთე წლისთავი" ეძლევა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს ლ. ნ. სოლოვიოვს.

მომხსენებელმა დაახასიათა ის წარმატებები, რომლებიც მოიპოვა ჩინეთის ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთის ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მისი მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში, ახალი ჩინეთის სახალხო-დემოკრატიული წყობილების განმტკიცებაში.

— ჩინელი ხალხის დიდი ეროვნული დღესასწაულის დღეს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დღეს, — განაცხადა დასასრულ ამხ. სოლოვიოვმა, — საბჭოთა ხალხი მხურვალედ უსურვებს თავის მეგობარს, დიდ ჩინელ ხალხს, რომელთანაც მას აკავშირებს ურღვევი ძმური მეგობრობა, ახალ წარმატებებს სოციალისტური ცხოვრების მშენებლობაში.

ამ სიტყვებს დამსწრენი მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

ჩინელი ხალხისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით საბჭოთა ადამიანებს მხურვალედ მიესალმა ელჩი ჯან ვენ-ტიანი, რომელსაც შეკრებილნი ტაშის გრიალით შეხვდნენ. მან ილაპარაკა სახალხო ჩინეთის მიღწევებზე ახალი ცხოვრების მშენებლობაში, საბჭოთა და ჩინელი ხალხების მეგობრობის დიად ძალაზე.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი. შესრულებულ იქნა რუსული მუსიკის კლასიკოსთა, აგრეთვე საბჭოთა და ჩინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. (საქდესი).

## პანთეონის პროექტების განხილვა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დავალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა და მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ღია კონკურსი გამოაცხადეს პანთეონის — საბჭოთა ქვეყნის დიდ ადამიანთა სამარადისო დიდების ძეგლის საუკეთესო პროექტზე. პანთეონის აგება განზრახულია მოსკოვში ლენინის გორაზე.

ამ კონკურსის ორგანიზაციას წინ უძღოდა დიდი მოსამზადებელი მუშაობა. კერძოდ, ათ ცნობილ მოსკოველ არქიტექტორს — ა. ვ. ვლასოვს, ი. ვ. ჟოლტოვსკის, გ. ი. ზახაროვს, ა. გ. მორდვინოვს, ზ. ს. მეზენცევს, მ. ვ. პოსოხინს, ლ. მ. პოლიაკოვს, ლ. ვ. რუდნევს, ა. ვ. ხრიაკოვსა და დ. ნ. ჩეჩულინს დაევალა შეემუშავებინათ პანთეონის წინასწარი საპროექტო წინადადებანი.

არქიტექტორების მიერ შესრულებული ნამუშევრები ახლა გამოფენილია საზოგადოებრივი დათვალიერებისათვის არქიტექტორის ცენტრალურ სახლში. 28 სექტემბერს აქვე გაიმართა პანთეონის პირველი პროექტების ფართო განხილვა. განხილვაში მონაწილეობა მიიღო დედაქალაქის 800-ზე მეტმა არქიტექტორმა, მოქანდაკემ, მხატვარმა და მეცნიერმა მუშაკმა. არქიტექტორებმა კ. ნ. აფანასიევმა, ი. ს. ნიკოლაევმა, მოქანდაკემ გ. ი. მოტოვილოვმა, პოეტმა პ. გ. ანტოკოლსკიმ და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ წინასწარ საპროექტო წინადადებათა ავტორებმა ვერ იპოვნეს პანთეონის სწორი კომპოზიციური გადაწყვეტა, სისადავე და მონუმენტურობა, მაგრამ მათ მიერ გაწეული მუშაობა ხელს შეუწყობს ღია კონკურსის მონაწილეებს იპოვნონ ამ ნაგებობის მაღალმხატვრული სახე.

სიტყვით გამოსულებმა კონკრეტული წინადადებანი შეიტანეს პანთეონის, როგორც საბჭოთა ქვეყნის დიდ ადამიანთა სამარადისო დიდების ძეგლის, არქიტექტურულ-მხატვრული სახის შექმნისათვის, ირგვლივ ტერიტორიისა და შენობების დაგეგმვისათვის, ამ დიდებული ნაგებობის გარეთ და შიგნით მოსაპირკეთებლად მაღალხარისხოვანი და დიდხანს გამძლე მასალების გამოყენებისათვის.

(საქდესი).

# დაიწყო სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

★

## მეცადინეობა ორგანიზებულად დაიწყო

ახალ სასწავლო წელს დიდი ინტერესით შეხვდნენ კომუნისტები და კომკავშირელები თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში. წელს 99 კომუნისტი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს. მუშაობს ლექტორიუმი.

ფაბრიკაში გასულ სასწავლო წელს პარტიის ისტორიის შემსწავლელი 13 წრე იყო. წელს მხოლოდ 7 წრე განაგრძობს მეცადინეობას. გუშინ ეს წრეები ორგანიზებულად შეუდგნენ მუშაობას. პროპაგანდისტებად შერჩეულია უკეთესი კადრები. პროპაგანდისტული მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს ამხ. რ. გობრონიძეს. პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში მან გუშინ მაღალ იდეურ თეორიულ დონეზე ჩაატარა მეცადინეობა.

მიმზიდველი, საინტერესო იყო პროპაგანდისტ ა. მამაჯანოვას საუბარი თემაზე: „კომუნისტების პარტია უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის წლებში“.

გეგმით გათვალისწინებული მასალის ახსნის შემდეგ მსმენელებმა ვ. კოსტავამ, თ. ანდრიაძემ, რ. მუხაძემ და სხვ. შეკითხვები მისცეს პროპაგანდისტს. მისი პასუხი დამაჯერებელი და ამომწურავი იყო.

მეცადინეობა ორგანიზებულად მოეწყო პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, რომელსაც პროპაგანდისტი ნოდია ხელმძღვანელობს. ფეიქარი კომუნისტები დიდი ინტერესით შეუდგნენ პარტიის გმირული ისტორიის შესწავლას, რაც იმას მოწმობს, რომ აქ წელს მნიშვნელოვნად ამაღლდება მეცადინეობის იდეურ-თეორიული დონე. მაგრამ ამასთან პირველსავე დღეს გამომჟღავნდა ნაკლოვანებებიც. ყველა პროპაგანდისტი ისტორიულ ფაქტებს მოხდენილად ვერ უკავშირებდა თანამედროვეობას, ვერ იყენებდა რუქას.

## ქუთაისელი კომუნისტები თეორიულ ცოდნას იმაღლებენ

ქუთაისი. („კომუნისტის“ საკ. კორ.). ორგანიზებულად შეუდგა მუშაობას 18 წრე და პოლიტსკოლა, აგრეთვე 5 თეორიული სემინარი ქ. ქუთაისში.

სამი ათასზე მეტი კომუნისტი, რომლებიც დამოუკიდებლად მუშაობენ წიგნზე, ახალი ენერგიით შეუდგა მეცადინეობას. მრავალმა კონსულტანტმა შინაარსიანი საუბარი გამართა მარქსისტულ-ლენინური თეორიის დამოუკიდებლად შემსწავლელებთან. დღეს ქუთაისის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოეწყო პროფესორ ა. ბოჭორიშვილის ლექცია თემაზე: „წიგნზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მუშაობის მეთოდების შესახებ“. აბრეშუმის კომბინატში პროპაგანდისტების გ. ფასეიშვილის, ა. მაღლაკელიძის და მ. ქუთათელაძის წრეებსა და პოლიტსკოლაში მეცადინეობა მაღალ იდეურ დონეზე ჩატარდა.

მაგრამ ასე არ ითქმის ყველა წრის შესახებ. მაგალითად, კომბინატის № 1 საქსოვ საამქროში პროპაგანდისტმა რ. ლორდქიფანიძემ ახალი მასალის ახსნისას დაუშვა ზოგიერთი არასიზუსტე. ამავე წრეში გაერთიანებულმა ა. წვერავამ, რომელსაც საშუალო განათლება აქვს, განაცხადა, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ ჩააბეს წრეში. ასევე განაცხადა წრის მსმენელმა ლ. თეალოძემ, რომელსაც ორი ჩვილი ბავშვი ყავს.

ლიტოპონის ქარხანაში პირველ დღეს მრავალმა მსმენელმა უმიზეზოდ გააცდინა მეცადინეობა. მაგალითად, პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, რომელსაც პროპაგანდისტი ა. ოყურეშიძე ხელმძღვანელობს, 11 კაცის ნაცვლად მეცადინეობას მხოლოდ 6 დაესწრო. ასევე ითქმის იმ პოლიტსკოლის შესახებაც, რომელსაც პროპაგანდისტი ა. კუხიანიძე ხელმძღვანელობს.



თბილისის საქალაქო პარტიული ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომუნისტები მეცადინეობის დროს. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებთან

სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში დაიწყო მეცადინეობა პარტიული განათლების ქსელში.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია რამდენიმე თვეა ემზადება მეცადინეობის ორგანიზებულად დაწყებისათვის. უწინარეს ყოვლისა ყურადღება მიექცა პროპაგანდისტების შერჩევას და მათთან სისტემატურ მუშაობას. რამდენიმე წელია ქარხანაში პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევიან გ. კაჭკაჭიშვილი, ლ. ზაქსი, გ. მარიამული, დ. აბუთიძე, გ. ცომაია და სხვ. ისინი წელსაც განაგრძობენ წრეებისა და პოლიტსკოლების ხელმძღვანელობას, გულმოდგინედ და დამაჯერებლად ასწავლიან მსმენელებს ჩვენი პარტიის გმირულ ისტორიას, აცნობენ პარტიისა და მთავრობის დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს.

წელს აქ იმეცადინებს რვა პოლიტსკოლა და წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 181 კომუნისტი, მათ შორის პოლიტსკოლაში მეცადინეობას შეუდგნენ ცნობილი მექვაბეები ა. სოხაძე, მ. ბეშიძე. შარშან წარმატებით დაამთავრა პოლიტსკოლა კ. ილურიძემ. ახლა იგი მეცადინეობს პარტიის ისტორიის შემსწავლელ ძირითადი ტიპის წრეში. წრეებისა და პოლიტსკოლებისათვის გამოყოფილია სუფთა, ნათელი ოთახები, მიღებულია ყველა ღონისძიება ზამთარში გათბობით უზრუნველყოფისათვის.

აღსანიშნავია, რომ წელს საგრძნობლად შემცირდა პოლიტსკოლებისა და წრეების რიცხვი და გაიზარდა წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგების რაოდენობა. მათ დასახმარებლად პარტიულმა კომიტეტმა შეარჩია პოლიტიკურად მომზადებული, უნარიანი, საქმის მოყვარული 6 კონსულტანტი. წელს პარტიის ისტორიას დამოუკიდებლად შეისწავლიან ცნობილი მექვაბე ი. მაჩაიძე, ხარატები ი. ჭუმბურიძე, გ. მამაგეიშვილი, ს. ზარიძე, ზეინკალი პ. ზედგინაშვილი და წარმოების ბევრი სხვა ნოვატორი.

გუშინ მრავალი კომუნისტი ათვალიერებდა ქარხნის პარტიულ ბიბლიოთეკაში მოწყობილ თემატურ გამოფენებს. მნახველთა ყურადღება მიიპყრო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და პოლიტიკური წინსვლის ამსახველმა გამოფენამ. გამოფენილია აგრეთვე წიგნები და ჟურნალები დამოუკიდებლად მომუშავე ამხანაგებისათვის, აგიტატორთა დასახმარებლად.

პარტიის ისტორიის დამოუკიდებლად შემსწავლელმა ამხანაგებმა მოისმინეს ლექციები შემდეგ თემებზე: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობა“, „ბრძოლა კაპიტალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ ადამიანის შეგნებაში“.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია მომზადებული შეხვდა პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დაწყებას. მისი ვალია არ შეანელოს მუშაობა, ყველაფერი გააკეთოს იმისათვის, რომ განუხრელად უმჯობესდებოდეს მეცადინეობის იდეური შინაარსი, მიაღწიოს იმას, რომ ახალ სასწავლო წელს მოპოვებულ იქნას წარმატებანი მარქსიზმ-ლენინიზმის ყოვლისმძლე თეორიის პროპაგანდის საქმეში.

## ჩაი გეგმის გადამეტებით

სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივის მთელი ძალები მიმართულია ჩაის ფოთლის მოსავლიანობის გასადიდებლად.

პლანტაციების დამუშავების და ფოთლის კრეფის აგროწესების განუხრელად დაცვით მეურნეობამ ჯერ კიდევ 17 სექტემბრისათვის შეასრულა წლიური დავალება — მოკრიფა და ჩაის ფაბრიკას ჩააბარა 570.600 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ახლა სალიბაურელი მეჩაიეები ფოთოლს გეგმის გადამეტებით კრეფენ.

დაწინაურდნენ № 1 და № 2 აგროგანყოფილებები. მათ წლიური გეგმის გადამეტებით მოკრეფილი აქვთ რამდენიმე ტონა ფოთოლი.

უხვი მოსავლის მოყვანით თავი ისახელეს ბრიგადებმა, რომლებსაც გ. წულაია, გ. მარკოვა, ნ. ნიკურაძე, ტ. პოვაჟნიუკი და დ. გოგეშვილი ხელმძღვანელობენ.

მკრეფავებს შორის საუკეთესო მაჩვენებლებს აღწევენ ნ. ჩერნოივანოვა, ტ. ზაკაპი, უ. პინკოვა, ა. პერშინა. თვითეულ მათგანს მოკრეფილი აქვს 2.100—2.500 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

მეურნეობის კოლექტივმა გადასინჯა თავისი შესაძლებლობანი და ვალდებულება იკისრა გეგმის გადამეტებით მოკრიფოს 40 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი.

**დ. ლეკვეიშვილი,**
სტალინის სახელობის სალიბაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

## საბჭოთა მეურნეობა-სანერგეში

ქარელი. (საკ. კორ.). წელს ზღვნისის საბჭოთა მეურნეობა-სანერგეში თვალსაჩინო მუშაობა იქნა გაწეული გასული წლის ნამყენების მოვლა-პატრონობისა და მყნობის გეგმების შესრულებისათვის. მეურნეობაში გეგმით უნდა დაემყნოთ 274.500 ძირი თესლოვანი და კურკოვანი ხეხილი, ფაქტიურად დაამყნეს 295.800 ძირი (აქედან 239.180 თესლოვანი). ნამყნობის 91 პროცენტი გახარებულია.

მყნობელებს შორის დაწინაურდა დ. კნალოვი, რომელმაც 60 ათასის ნაცვლად დაამყნო 64.590 ძირი. ასევე კარგად მუშაობს მყნობაზე გ. შოშიაშვილი.

მეურნეობაში წელს დასარგავად მოამზადეს 9,8 ჰექტარი ფართობი. 1,6 ჰექტარზე ეწყობა სათესლე სკოლა. პირველი ნოემბრიდან დაიწყება ორწლიანი სტანდარტული ნერგების ამოღება და დაბინავება. დაბინავებული იქნება 120 ათასი ძირი, რომლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს მომავალი წლის გაზაფხულზე.

ზღვნისელმა მენერგეებმა კარგი მუშაობით წელს სახელმწიფოს 50 ათასი მანეთი მოგება მისცეს.

## სამხრეთ ოსეთში ხვნა-თესვა ჭიანურდება

მდინარე პატარა ლიახვის ორივე მხარეს გადაშლილია ქსუისის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის ზონის კოლმეურნეობების მინდვრები. შარშან მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებში საშემოდგომო სამუშაოები გაჭიანურდა, დაარღვიეს თესვის აგროტექნიკური წესები. მოსალოდნელი იყო, რომ მტს-ის დირექცია და პარტიის სტალინირის რაიკომის მუშაკთა ჯგუფი მტს-ის ზონაში საჭირო დასკვნებს გააკეთებდნენ გასული წლის მკაცრი გაკვეთილიდან და წელს უკეთ მოაწყობდნენ საშემოდგომო სამუშაოებს, მაგრამ ასე არ მოხდა.

25 სექტემბრისათვის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში საშემოდგომოდ მოხნული იყო 971 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2.450 ჰექტარისა. შეუწყნარებლად ნელი ტემპით მიმდინარეობს თესვაც. იმავე დროისათვის შემოდგომის ხორბალი დათესილი იყო მხოლოდ 300 ჰექტარზე. საშემოდგომოდ მოხნული 971 ჰექტარიდან მუშა პირუტყვის გამოყენებით დამუშავებულია მხოლოდ 151 ჰექტარი. მთის ზონის კოლმეურნეობებს თესვა ფაქტიურად არ დაუწყიათ.

ზოგიერთი კოლმეურნეობის გამგეობა მთელ იმედებს ამყარებს მტს-ის ტექნიკაზე, მაგრამ ტრაქტორები არა ჩანს. ამის შედეგად ხვნა-თესვა ჭიანურდება.

ასეთ განწყობილებაზეა, მაგალითად, ქსუისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. გაზაშვილი. ის ტრაქტორებს ელოდება, როცა მუშა პირუტყვის ძალებით 50 ჰექტარზე მეტი აქვს მოსახნავი ისეთ ფართობებში, სადაც მანქანების მუშაობა შეუძლებელია. ეს იმ დროს, როცა კოლმეურნეობას საკმაო რაოდენობით ჰყავს მუშა პირუტყვი, აქვს გუთნები, ფარცხები.

მტს-ის დახმარების მოლოდინში ხვნა-თესვა ჭიანურდება სოფელ გრომის (თავმჯდომარე შ. ტუაევი), სოფელ დისევის (თავმჯდომარე გ. დოგუზოვი), სოფელ ხელჩუის (თავმჯდომარე ნ. ფუხაევი) კოლმეურნეობებში.

საშემოდგომო ხვნა-თესვა ჭიანურდება სახნავად გამოყოფილი ფართობების სათოხნი კულტურების მოსავლისაგან დროზე გაუთავისუფლებლობის გამოც. სოფელ გრომის კოლმეურნეობაში სიმინდის აღება ჯერაც არ დაუწყიათ, თუმცა სიმინდი ასაღებად დიდიხანია მომწიფდა. 50 ჰექტარი სიმინდით დაკავებულია სოფელ ივრეთის კოლმეურნეობაში, 112 ჰექტარი — ქსუისის კოლმეურნეობაში. სოფელ არგვიცის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორი, რომელსაც ტრაქტორისტი თ. მაისურაძე მართავს, ორ დღეს მოცდა სახნავად განკუთვნილი ფართობის სიმინდის მოსავლისაგან გაუთავისუფლებლობის მიზეზით.

კოლმეურნეობები აგვიანებენ სასუქის გაზიდვას სოფლმომარაგების საწყობიდან. სოფლების დისევისა და ხელჩუის კოლმეურნეობებში თესვა შეჩერდა იმიტომ, რომ მინდვრად დროულად არ გაიტანეს სასუქი. მანქანა-ტრაქტორთა სადგურის დირექცია ჯეროვან ზომებს არ იღებს, რომ კოლმეურნეობებმა შეუფერხებლად აწარმოონ მინერალური სასუქის გამოზიდვა სოფლმომარაგების სტალინირის საწყობიდან.

მტს-ის ტექნიკაც სრული დატვირთვით არ არის გამოყენებული. იმ დროს, როცა სხვა კოლმეურნეობებში თესვა სათესების უქონლობის გამო ფერხდება, სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მინდვრებზე სამი სათესი მანქანა უქმად დგას. აქ სახნავი ფართობი განთავისუფლებული არ არის სიმინდის მოსავლისაგან. მტს-ის დირექციამ დროზე არ გაითვალისწინა ეს და სათესები არ გამოიყენა სხვა კოლმეურნეობაში.

შეუწყნარებელია, რომ მანქანა-ტრაქტორთა სადგურს დღემდე არა აქვს თესლბრუნვის გეგმები. ამ საქმეს სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველო აჭიანურებს. ზოგიერთ კოლმეურნეობაში არ იციან რომელ ფართობზე რა კულტურა დაითესება; ნაკვეთები მიჩენილი არა აქვთ ბრიგადებს. სწორედ ამ მიზეზით არ მიმდინარეობს საშემოდგომო თესვა სოფელ ხელჩუის კოლმეურნეობაში.

საშემოდგომო თესვის დაყოვნება ყოვლად შეუწყნარებელია. ქსუისის მტს-ის დირექციამ დროზე უნდა მიიღოს ზომები, რათა დაჩქარდეს ხვნა-თესვის ტემპი იმ ანგარიშით, რომ ეს სამუშაო 10-15 ოქტომბრისათვის დამთავრდეს. ამ საქმეში მტს-ის მექანიზატორებს პარტიის სტალინირის რაიკომისა და რაისაბჭოს აღმასკომის ქმედითი დახმარება ესაჭიროებათ.

**ი. თედიაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

## მოწინავე ტრაქტორისტი

ასპინძის მტს-ის ტრაქტორისტი ა. გრიგორიანი, რომელიც სამი წელია „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე მუშაობს, გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, ზოგავს საწვავ მასალას. გასულ წელს გეგმით გათვალისწინებული 600 ჰექტარის ნაცვლად 840 ჰექტარი მოხნა, გეგმა 140 პროცენტით შეასრულა და დაზოგა 967 კილოგრამი საწვავი.

წელს ა. გრიგორიანი ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში და გეგმის ორმაგად შესრულება იკისრა. სიტყვა საქმედ აქცია, გათვალისწინებული 410 ჰექტარის ნაცვლად დღეისათვის რბილ ხვნაზე გადაყვანით მოხნა 830 ჰექტარი და დაზოგა 1.005 კილოგრამი საწვავი.

გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის ამხ. ა. გრიგორიანი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით ამ დღეებში დაჯილდოებულ იქნა მაჯის საათით.

მოწინავე ტრაქტორისტმა პირობა დადო საშემოდგომო თესვა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატაროს.

**ა. გოცაძე,**
ასპინძის რაიონული გაზეთის რედაქტორი.

# სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობა საყოველთაო-სახალხო ამოცანაა

**მ. გიორგაძე,**
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელი ზრუნვის პასუხად მიმდინარე წელს ნაყოფიერად იმუშავეს.

ძირითადად დამთავრებულია თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება, ლეწვა და გადამუშავება. ჩატარებულ სამუშაოთა ანალიზი თვალნათლივ მეტყველებს იმაზე, რომ მოსავლიანობის ზრდა ამჟამად მთლიანად დამოკიდებულია არა ამინდის პირობებზე, არამედ შრომის სწორ ორგანიზაციაზე, მექანიზაციის რაციონალურ გამოყენებასა და აგრობიოლოგიური მეცნიერების მიღწევათა სრულად განხორციელებაზე.

შემოდგომის ხორბალს რესპუბლიკაში მარცვლეული კულტურების სათესი ფართობის ნახევარი უჭირავს. იმის შედეგად, რომ გასული წლის შემოდგომაზე წინა წელთან შედარებით უფრო მჭიდრო ვადებში ჩატარდა შემოდგომის ხორბლის თესვა და უკეთ დამუშავდა ნათესები, წელს საგრძნობლად მეტი მოსავალია მიღებული.

დროულად, აგროტექნიკის მოთხოვნათა დაცვით დაითესა და დამუშავდა მთელი რიგი სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურებიც. მოსავალს კარგი პირი უჩანს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა დავკმაყოფილებულიყავით მიღწეულით და გვეფიქრნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, თებერვალ-მარტისა და ივნისის პლენუმების ისტორიული დადგენილებებიდან გამომდინარე ამოცანები, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის წინაშე დგას, უნაკლოდ სრულდებოდეს. სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების ბევრი შესაძლებლობა ჩვენ საკმარისად არა გვაქვს გამოყენებული. ამასთანავე ზოგიერთმა ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებმა ვერ გარდაქმნეს მუშაობა ახალ, გაზრდილ მოთხოვნილებათა შესაბამისად, მათს საქმიანობაში არ იგრძნობა შემოქმედებითი ზრდა, ინიციატივა და მომთხოვნელობა. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას საგაზაფხულო თესვის შეუწყნარებლად გაჭიანურება და სამუშაოთა დაბალხარისხოვნად შესრულება რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში. ვადების დიდი დარღვევით შეასრულეს გასულ წელს საშემოდგომო თესვა ხაშურის, ქარელის, გორის, კასპის რაიონებმა, ამასთან გაზაფხულზე მთელ ფართობზე არ მოაწყეს ჯეჯილის გამოკვება სასუქებით და თავის დროზე არ გამარგლეს ნათესები სარეველებისაგან. ამიტომ არის, რომ წელს ყველა ამ რაიონმა ხორბლის მეტად დაბალი მოსავალი მიიღო. შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე სიმინდის, კარტოფილის, მზესუმზირას და ბოსტნეული კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვის დავალებანი.

წელს ხორბლის უხვი მოსავლის მიღება ბევრ რაიონში განპირობებული იყო იმითაც, რომ დანერგილ იქნა მოსავლიანობის გადიდების ისეთი პროგრესული მეთოდი, როგორიც არის ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად თესვა.

თესვის ეს მეთოდი პრაქტიკულად შემოწმებულია ჩვენი რესპუბლიკის პირობებში და კარგი შედეგი მოგვცა. მიმდინარე წლის მოსავლისათვის ვიწრო მწკრივებად და ჯვარედინად დათესილი იყო 140 ათას ჰექტარზე მეტი ხორბალი. მთელ რიგ კოლმეურნეობათა გამოცდილება ადასტურებს, რომ ამ წესით ნათესი ხორბლიდან მიღებულია 4-5 ცენტნერით მეტი მოსავალი ჩვეულებრივ მწკრივად ნათესთან შედარებით. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ნათლად მოწმობს ამ პროგრესული მეთოდის სარგებლიანობას.

მიღებულია მოსავალი 1954 წელს ჰექტარზე (ცენტნერობით)

| კოლმეურნეობათა დასახელება | ჯვარედინი ნათესიდან | ჩვეულებრივი ნათესიდან |
|---|---|---|
| წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობაში | 26,6 | 20 |
| სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის მალენკოვის სახელობის კოლმეურნეობაში | 27 | 22 |
| ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძში“ | 24 | 21 |

ამ პროგრესული ღონისძიების განხორციელებით რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ხორბლის რამდენიმე ასეული ათასი ცენტნერი დამატებითი მოსავალი მიიღეს. მიმდინარე წლის შემოდგომაზე ამ წესით ჩვენში უნდა დაითესოს საშემოდგომო ხორბლის ნათესების ერთ მესამედზე მეტი.

ამჟამად ჩვენს მტს-ებში ორი ათასამდე სათესი მანქანაა. თვითეული სათესის საშუალო გამომუშავების ნორმად დღეში სულ ცოტა 8-10 ჰექტარიც რომ ვივარაუდოთ, მიმდინარე წლის საშემოდგომო თესვის პერიოდში მანქანების საშუალებით შესაძლებელია დაითესოს ჯვარედინად და ვიწრო მწკრივებად 240 ათასამდე ჰექტარი. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალ წელს ჩვენი კოლმეურნეობები ნათესების დამუშავების თანაბარ პირობებში ხორბლის ასეულ ათასობით ცენტნერ დამატებით მოსავალს მიიღებენ.

მიმდინარე წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე საყოველთაო ყურადღებას იპყრობს აკადემიკოს ნ. ვ. ციცინისა და მისი თანამშრომლების მიერ გამოყვანილი ხორბლის ახალი ჯიშების — ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდების გავრცელება.

ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდები № 1, № 186 და № 599 ამჟამად ასეულ ათასობით ჰექტარზე ითესება.

ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდი № 1 საკმაოდ მაღალმოსავლიანია. იგი დათესილი იყო სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ტერიტორიაზე. ამ საექსპონატო ნაკვეთიდან ერთ ჰექტარზე გადაყვანით მიიღეს 72 ცენტნერი ხორბალი. ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდი № 1 მაღალმოსავლიანობასთან ერთად გამძლეა. მიუხედავად თავთავის სიმძიმისა (თითო თავთავში საშუალოდ 120 მარცვალია), ღერო გამძლეა და ადვილად არ წვება. ამასთან იგი არ ავადდება ჟანგათი და სხვა სოკოვანი დაავადებებით. ეს ხორბალი იტანს ნიადაგში ტენის ნაკლებობას და ამის გამო კარგად უძლებს გვალვას.

ჩვენი რესპუბლიკის მემინდვრეობის საცდელმა სადგურებმა და ნოვატორმა კოლმეურნეებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ ხორბლის ამ იშვიათი ჯიშის დანერგვას საქართველოში. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდი კარგ მოსავალს იძლევა მხოლოდ მაღალი აგროტექნიკის პირობებში. საჭიროა ჭანგა-ხორბლის ჰიბრიდები ფართოდ გამოიცადოს საქართველოშიც.

ფრიად საყურადღებოა კოლმეურნე ნოვატორის, სტალინური პრემიის ლაურეატის ტერენტი სიმონის-ძე მალცევის მიერ დამუშავებული აგროტექნიკის ახალი წესები. მალცევმა შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების ისეთი კომპლექსი, რომლის გატარებითაც ხორბლეულისათვის ნიადაგის ღრმად მოხვნა საჭირო ხდება მხოლოდ რამდენიმე წელიწადში ერთხელ. ამ მეთოდით დამუშავებული ნიადაგისათვის საშიში არ არის გვალვა, ნაკვეთი სარეველებისაგან სუფთავდება და ასეთ პირობებში დათესილი ხორბალი მაღალ მოსავალს იძლევა.

რესპუბლიკის კოლმეურნეები, რომლებიც ამ მეთოდს გაეცნენ სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე, მიმდინარე წლის შემოდგომიდანვე იწყებენ ნიადაგის დამუშავებას მალცევისებურად. ამ საქმეში კოლმეურნეებს საჭირო დახმარება უნდა გაუწიონ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, რესპუბლიკის მეცნიერებმა და მემინდვრეობის საცდელმა სადგურებმა.

საქართველოს ბუნებრივი პირობები უაღრესად მრავალნაირია. ძლიერ მოკლე მანძილზე ძირფესვიანად იცვლება რელიეფი, ჰავა და ნიადაგის შემადგენლობა. საბჭოთა კავშირის მხარეებსა და ოლქებში დადგენილი აგროტექნიკური წესები და ღონისძიებები არ შეიძლება ყველა უცვლელად გადმოვიტანოთ.

სწორედ აქ არის საჭირო მეცნიერების დახმარება, სწორედ ასეთ შემთხვევაშია ეფექტიანი მეცნიერთა და კოლმეურნეთა შემოქმედებითი თანამეგობრობა და დიფერენცირებული მიდგომა ახალი ჯიშებისა და ახალი წესების დანერგვისადმი.

საჭიროა რესპუბლიკის ჰავისა და ნიადაგის სხვადასხვა პირობებში მოეწყოს მალცევის მეთოდით ნიადაგის დამუშავების საწარმოო გამოცდა, შემუშავდეს ცდის სქემა და მისი ჩატარების მეთოდიკა.

მოსავლიანობის გადიდების და სამუშაოთა მექანიზაციის სრულყოფის საშუალებას იძლევა კვადრატულ-ბუდობრივი და კვადრატული თესვა. ეს პროგრესული მეთოდი წელს მასობრივი მასშტაბით დაინერგა ჩვენს რესპუბლიკაში. კვადრატულ-ბუდობრივად დაითესა 44.437 ჰექტარი სიმინდი, 6.348 ჰექტარი მზესუმზირა, 7.150 ჰექტარი კარტოფილი. ამ წესით დაირგო 1.558 ჰექტარი ბოსტნეული. ამ ნათესების ორმხრივი მექანიზებული დამუშავების შედეგად, რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ზაფხულის პერიოდში დაახლოებით 2 მილიონი კაცდღე დაზოგეს. კოლმეურნე გლეხობა მტკიცედ დარწმუნდა ამ მეთოდის პროგრესულობასა და სარგებლიანობაში.

კარგი შედეგი გამოიღო ბოსტნეული და ბაღჩეული კულტურების ჩითილის ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანამ.

ეს მეთოდი წელს პირველად დაინერგა რესპუბლიკის კოლმეურნეობებში. ამ წესით გამოყვანილ იქნა კომბოსტოს, კიტრის, პამიდორის, საზამთროს და სხვა ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების 11 მილიონი ჩითილი. მიმდინარე წლის გამოცდილებამ ნათელყო, რომ ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი ბოსტნეულის მოსავალი ორი კვირით ადრე იქნა მიღებული, ამასთან მოსავალი ბევრად აღემატებოდა ჩვეულებრივი წესით დარგული ჩითილის მოსავალს.

მარნეულის რაიონის სოფელ სადახლოს ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც პამიდორი ტორფნეშომპალის ქოთნებით დარგეს, პირველი მოსავალი 3 ივლისს აიღეს, ჩვეულებრივი წესით დარგული ჩითილიდან კი მოსავალი მხოლოდ 18 ივლისს მოკრიფეს. ამასთან ქოთნებში გამოყვანილი ჩითილის მოსავალი 20 პროცენტით აღემატებოდა ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი ჩითილის მოსავალს. კასპის რაიონის სოფელ ხოვლეს ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში ტორფნეშომპალის ქოთნებში გამოყვანილი პამიდორის მოსავალი 9 აგვისტოსათვის ორჯერ მოკრიფეს, პირველი კრეფა მოეწყო 25 ივლისს, მაშინ როცა ჩვეულებრივი წესით მიღებული ჩითილიდან მოსავალი ჯერ კიდევ შემოუსვლელი იყო. მახარაძის რაიონის სოფელ მელექედურის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ქოთნებით დარგული პამიდორის ჩითილიდან გაიხარა 91,5 პროცენტმა, ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი ჩითილიდან — 80,9 პროცენტმა. ქოთნებით დარგული ბადრიჯნის ჩითილიდან გაიხარა 95,9 პროცენტმა, ჩვეულებრივი წესით გამოყვანილი ჩითილიდან მხოლოდ — 87,7 პროცენტმა.

აქ მოყვანილი მაგალითები ნათლად მოწმობენ ამ პროგრესული ღონისძიების დიდ სამეურნეო ეფექტიანობას. საჭიროა მომავალ წელს ეს ღონისძიება კიდევ უფრო ფართო მასშტაბით გამოვიყენოთ მებოსტნეობაში.

მიმდინარე წელს ტორფნეშომპალის ქოთნებში ჩითილის გამოყვანას ბევრი ნაკლი ახასიათებდა. მთელ რიგ შემთხვევებში ნეშომპალის შემადგენლობა გათვალისწინებული დოზით არ იყო შეზავებული, რის შედეგადაც ქოთნები ადვილად იშლებოდა ან მეტისმეტად მაგარი იყო, დროულად არ წარმოებდა პიკირება ტორფნეშომპალის ქოთნებში და სხვ. დაშვებული შეცდომები უნდა გავითვალისწინოთ და თავიდან ავიცილოთ მომავალ წელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის

# დავაჩქაროთ საკოლმეურნეო სოფლის ელექტროფიკაცია

[illegible]

...ლა, აქედან მიღებულია მხოლოდ 50 კუბმეტრი. ცეკავშირის კოოპვაჭრობამ მთლიანად ჩაშალა სამშენებლო ობიექტების მომარაგება თეთრი ზონრით, მასრებით, გამომრთველებით, სჭვალით და სხვა წვრილი, მაგრამ აუცილებელი ინვენტარით. არის ისეთი შემთხვევა, [illegible]

[illegible] სხვა დამხმარე ორგანიზაციების მუშაკებმა, მეტი ყურადღებით მოეპყრონ კოლმეურნეობებისა და მტს-ების მოთხოვნილებებს.

**დ. ხონელიძე,**
საქსოფლელექტროს ტრესტის თბილისის კანტორის სამუშაოთა მწარმოებელი.

# ახალი სეზონი მარჯანიშვილის თეატრში

## საუბარი მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორთან ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან ი. გვინჩიძესთან





მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრი ახალ სეზონს კაპიტალურად შეკეთებულ და რეკონსტრუირებულ შენობაში იწყებს.

შენობის რეკონსტრუქცია ძირითადად შეეხო მაყურებელთა დარბაზს, რომლის პროექტის ავტორია არქიტექტორი ნ. ჩუბინაშვილი. არქიტექტურულად ღარიბმა და ულაზათო დარბაზმა სრულიად იცვალა სახე და გადაიქცა მიმზიდველ, გემოვნებით გაფორმებულ დარბაზად. პარტერისა და ამფითეატრის შესასვლელების რეკონსტრუირებით მიღწეულია საჯდომი ადგილების უფრო რაციონალური განლაგება, რითაც მოისპო მხედველობის მხრივ არასრულფასოვანი ადგილები.

მთლიანად რეკონსტრუირებულია დარბაზის ჭერი, რაც საგრძნობლად აუმჯობესებს აკუსტიკას. ჭერს ამშვენებს დიდი მხატვრული ჭაღი, რომელიც ამავე დროს დარბაზის ვენტილაციისათვის არის გამოყენებული. მაყურებელთა დარბაზს დაემატა გვერდითი ლოჟები, რომელთა მხატვრული გაფორმება და კომპოზიცია ესიტყვება დარბაზის ახალ არქიტექტურულ სახეს.

ძველი სკამები მთლიანად იქნა შეცვლილი ნახევრად რბილი სავარძლებით. ახალი დარბაზი 700 მაყურებელს დაიტევს.

რეკონსტრუქცია განიცადა აგრეთვე თეატრის ქვედა ფოიემ, სადაც ამჟამად მოთავსებულია ბუფეტი. კაპიტალურად შეკეთდა დამხმარე სადგომები, მათ შორის ფოიები, რომლებიც გარს ერტყმის მაყურებელთა დარბაზს. მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა აგრეთვე თეატრის შენობის სასცენო ნაწილი.

სცენის მოძრავი წრის მექანიზმი მთლიანად შეცვლილია ახალი კონსტრუქციის დანადგარებით. განახლდა თეატრის მთელი ელექტროაპარატურა. შეკეთდა და გაუმჯობესდა მსახიობთა საპირფარეშოებიც.

სეზონის გახსნის დღეს მაყურებელი ნახავს ახალ დადგმას — გამოჩენილი პროგრესული მწერლის, მშვიდობისათვის დაუღალავი მებრძოლის ნაზიმ ჰიქმეთის დრამატულ პოემას „ლეგენდა სიყვარულზე". სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ ვ. ტაბლიაშვილმა, მხატვრული გაფორმება ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ი. სუმბათაშვილს, მუსიკა — ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, სტალინური პრემიის ლაურეატს ა. მაჭავარიანს.

სეზონის პირველი ნახევრის სარეპერტუარო გეგმაში შეტანილი გვაქვს ესპანელი დრამატურგის მორეტოს მხიარული კომედია „ცოცხალი პორტრეტი" და საბჭოთა დრამატურგიის კლასიკური ნაწარმოები — ტრენევის „ლიუბოვ იაროვაია". თეატრი მუშაობს აგრეთვე კ. ბუაჩიძის ახალ თანამედროვე პიესაზე — „ეზოში ავი ძაღლია". განზრახული გვაქვს იანვრამდე მაყურებელს განახლებული დადგმით ვუჩვენოთ ი. ჭავჭავაძის „კაცია ადამიანი?" (გასცენიურებული შ. დადიანისა და ვ. ყუშიტაშვილის მიერ).

ქართული თანამედროვე რეპერტუარის გასამდიდრებლად თეატრს მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი აქვს დამყარებული დრამატურგებთან — პ. კაკაბაძესთან, ი. ვაკელთან, მ. მრევლიშვილთან, დ. თაქთაქიშვილთან, კ. ბუაჩიძესთან, რ. თაბუკაშვილთან, რ. ებრალიძესთან.

მიმდინარე სეზონში მაყურებელი მარჯანიშვილის თეატრის სცენაზე ნახავს ძველი რეპერტუარის საუკეთესო დადგმებს — უ. ჩხეიძის „გიორგი სააკაძეს", ი. მოსაშვილის „მის ვარსკვლავს", პ. კაკაბაძის „კოლმეურნის ქორწინებას", მ. ბარათაშვილის „მარინეს", ვ. გაბესკირიას „გაზაფხულის დილას", ს. კლდიაშვილის „დაბრუნებას", მუხტაროვის „ოჯახის ღირსებას", გოგოლის „რევიზორს", შექსპირის „რომეო და ჯულიეტას" გოლდონის „სასტუმროს დიასახლისს" დიუმას „მარგარიტა გოტიეს" და სხვ.

მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობით იმუშავებს, რათა პირნათლად შეასრულოს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანები — შექმნას ჩვენი დიადი ეპოქის შესაფერისი ღრმად იდეური, მაღალმხატვრული სპექტაკლები.

**სურათზე:** ზევით — თეატრის ახლად შეკეთებული მაყურებელთა დარბაზი, ქვევით — ახლად მოწყობილი ლოჟები.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

### კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

# რომანი ფრანგ კომუნისტებზე

„არაგონის დიდი დამსახურება ის არის, რომ მან მებრძოლი ნაწარმოები შექმნა. როგორც ყოველთვის, არაგონი პარტიის პოზიციებზე მტკიცედ დგას. ამ წიგნმა და მისმა ავტორმა პარტია ასახელეს".

ასეთი შეფასება მისცა ფრანგი ხალხის ბელადმა ამხანაგმა მორის ტორეზმა პროგრესული მწერლის ლუი არაგონის ახალ რომანს — „კომუნისტებს", რომელიც რუსულ ენაზე ახლახან გამოვიდა. რომანი ხუთი წიგნისაგან შედგება. რუსულ ენაზე თარგმნილია მხოლოდ პირველი სამი წიგნი.

„კომუნისტები" წარმოადგენს თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურის ერთ-ერთ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებს, რომელშიც მწერალი დამაჯერებელ მხატვრულ ფორმებში აგვიწერს ფრანგი ხალხის ბრძოლას მშვიდობისათვის. ეს რომანი ნამდვილი ფრანგული ეროვნული ეპოპეაა, სადაც ასახული არიან ფრანგი ერის საუკეთესო ადამიანები, რომლებიც წარბშეუხრელად იბრძოდნენ თავისუფლების, მშვიდობისა და დემოკრატიისათვის. რომანში დასმული ფრანგი ხალხის საჭირბოროტო საკითხები ჩინებულად არის გადაჭრილი. მწერალი მიზნად ისახავს მხატვრულად დაგვიხატოს ფრანგი ხალხის ბრძოლა მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში, როდესაც საფრანგეთში გერმანელი ოკუპანტები პარპაშობდნენ.

პირველი წიგნი იწყება ესპანეთის ამბებით. იტალია-გერმანიის ფაშისტური ჯარების მიძალების შედეგად ესპანელ რესპუბლიკელთა არმია მარცხდება და საფრანგეთის საზღვრისაკენ იხევს. საფრანგეთის ბურჟუაზია კი უდიდეს გამცემლობას სჩადის, იგი ესპანელ რესპუბლიკელებს თავშესაფარს არ აძლევს და ათასობით ესპანელ პატრიოტს ბანდიტ ფრანკოს ჩაუგდებს ხელში. რომანის პირველი სერია მთავრდება 1940 წლის ივნისის ამბებით.

მწერალი დარწმუნების დიდი ძალით, აღფრთოვანებით აგვისახავს ბრძოლებში გამოწრთობილ კომუნისტურ პარტიას, რომელიც ფრანგი ერის სასიცოცხლო ინტერესებს იცავს. ეს აზრი რომანში თავიდან ბოლომდეა გატარებული. ავტორი ისტორიულ სინამდვილეს მემატიანის თვალთახედვით როდი განსაზღვრავს. იგი უშუალოდ, დინჯად აკვირდება ისტორიული ამბების მსვლელობას და დამაჯერებლად აგვიწერს მთელ ამ ისტორიულ პროცესს. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი საფრანგეთის რეაქციული ბურჟუაზიის მხილებას, გამომჟღავნებულია მისი დანაშაულებრივი საქმიანობა, საფრანგეთი ამერიკელი იმპერიალისტების ნახევრადკოლონიად რომ გადააქცია. აქ ავტორი ამჟღავნებს რეალური ამბების, ტიპიური გმირების ღრმა ცოდნას.

ვისნერის სახით ჩვენ რომანში ვხედავთ ნამდვილ კაპიტალისტ მბრძანებლებს, ყველა ჯურისა და რანგის ბურჟუაზიულ პოლიტიკოსებს, მინისტრებით დაწყებული და წვრილი აფერისტებით დამთავრებული. აქ ვხვდებით მესამე რესპუბლიკის ინსტანციებში მოქმედ პირებსაც, რომლებიც პირად გამდიდრებას ცდილობენ, აკეთებენ მთელ რიგ მაქინაციებს. ჰყიდიან საფრანგეთს. „მინისტრთა კაბინეტები" არამზადებისა და საეჭვო პირებისაგან ყალიბდება, საფრანგეთის არმიის სათავეში გამცემლები ექცევიან.

დამაჯერებლად არის დახასიათებული საფრანგეთის „200 ოჯახის" მთელი საქმიანობა. ლუი არაგონი ავითარებს გორკისეულ აზრებს — როდესაც ბურჟუაზია დეგრადაციას განიცდის, იგი თავის წრეში ვერ ითმენს ვერავითარ ჯანმრთელ ელემენტს, ამიტომ ყოველი პატიოსანი ადამიანი მას ზურგს აქცევს. რომანში ასეთი გმირია ჟან დე მონსე, რომელიც ძლივს აღწევს თავს ბურჟუაზიულ სინამდვილეს, მის ზნეჩვეულებებსა და ცრუშეხედულებებს და თანდათან ნამდვილი ადამიანი ხდება. ჟანი რომ ნამდვილი ადამიანი გახდა, ამას ხელი შეუწყო მისმა დაახლოებამ არმიაში ხალხის წრიდან გამოსულ ადამიანებთან — კომუნისტებთან. რომანში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ჟან დე მონსესა და სესილ ვისნერის თავგადასავლის აღწერას.

ძველი ბურჟუაზიის [illegible] მიკოს ბარანჟეს „ქალიშვილები" კომუნისტები ხდებიან. მათ არ აშინებთ მთავრობის დრაკონული წესები და არალეგალურ მუშაობაში გაბედულად ებმებიან. გარდაქმნის რთული გზა განვლო ვექილმა თომა ვატრენმა, რომელიც ბოლოს და ბოლოს კომუნისტი გახდა.

გარდა ამისა, რომანში გამოყვანილია კომპარტიის თვალსაჩინო მოღვაწეები: მორის ტორეზი, ჟაკ დიუკლო, ეტიენ ფაჟონი, ბენუა ფრაშონი... აქ მოქმედებენ აგრეთვე რიგითი კომუნისტებიც რომლებმაც „უცნაური ომის" წლებში თავიანთი ბრძოლებით სამშობლო ასახელეს. რომანის გმირები — პაულ ბლანშარი და გილო ვალე მუშები არიან, მათ საკმაო ბრძოლის სკოლა განვლეს, მათთვის პარტია მშობლიური გახდა. ვადევნებთ რა თვალყურს მათს ბრძოლას, ჩვენ ვიგებთ, თუ როგორ ძნელ პირობებში უხდებოდათ რიგით კომუნისტებს მუშაობა. აქ ვხედავთ აგრეთვე პროვინციელ მასწავლებელს ალბერ უსტრიკს, რომელიც, როგორც კი მოხვდება არმიაში, მაშინვე გამონახავს საიმედო ამხანაგებს კომუნისტების სახით. მთელ რომანში კარგად არის ნაჩვენები, თუ როგორ იზრდებოდა და ძლიერდებოდა კომპარტიის რიგები.

მეტად საინტერესოა რომანის ის ადგილი სადაც დაწვრილებით აღწერილია 1940 წლის 16 იანვრის პარლამენტის სხდომა, რომელმაც გამოიტანა სამარცხვინო დადგენილება კომუნისტი დეპუტატებისათვის დეპუტატთა უფლებების ჩამორთმევის შესახებ. რომანში კარგად არის აღწერილი პარლამენტის დეპუტატის ეტიენ ფაჟონის გამოსვლა, რითაც მან ამხილა საფრანგეთის გამყიდველი მთავრობა. „...მე ვაცხადებ ენერგიულ პროტესტს კომუნისტი დეპუტატების თვითნებური დაპატიმრების წინააღმდეგ... ჩვენ კიდევ ვიმეორებთ, რომ საბჭოთა კავშირთან ერთად ვიცავთ მუშათა ნამდვილ საქმეს, კომუნიზმის საქმეს", — განაცხადა ფაჟონმა.

ბოლოს, მეხუთე წიგნში აღწერილია ტრაგიკული ამბები, 1940 წლის 10 მაისს ჰიტლერის ჯარების შეჭრა ბელგიასა და ჰოლანდიაში. ამ ამბებმა საფრანგეთზე დიდი გავლენა მოახდინეს. მწერალი კარგად აგვიწერს ხალხთა მასების უსაზღვრო მწუხარებას.

„კომუნისტებს" საფრანგეთის პროგრესულმა საზოგადოებრიობამ დადებითი შეფასება მისცა. პირმოთნე ბურჟუაზიული კრიტიკა კი ამაოდ ცდილობდა გაეყალბებინა რომანის შინაარსი და ავტორისათვის ცილი დაეწამებინა. ბურჟუაზიულმა კრიტიკამ მაინც ვერ უარყო ამ ნაწარმოების შესანიშნავი მხატვრული ღირსებანი. გამოჩენილი ფრანგი კრიტიკოსი ჟან ფრევილი წერს: „მწერალმა გადმოგვცა განადგურების პერიპეტიები ისე, რომ სასოწარკვეთილებაში არ ჩავარდნილა. თავისი გასაოცარი თხრობით არაგონი დგება ჰიუგოს, სტენდალისა და ზოლას სახელგანთქმულ ნაწარმოებთა გვერდით. მწერალმა ომი სამარცხვინო ბოძზე გააკრა, დაადასტურა კომუნისტების შორსმჭვრეტელობა და მათ მამაცობას უმღერა. მან ჩვენ მოგვცა ახალი ძალა სიკვდილის წინააღმდეგ ბრძოლის გასაგრძელებლად".

„კომუნისტები" თანამედროვე პროგრესული ფრანგული ლიტერატურის დიდი შენაძენია, სამართლიანი, გულწრფელი, პატრიოტული ნაწარმოებია. მარსელ კაშენი ამ რომანს სამართლიანად მიაკუთვნებს სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოებებს.

ლუი არაგონი თავის შემოქმედებაში საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებს ემყარება. მწერალი იცავს იმ მოსაზრებას, რომ სოციალისტური რეალიზმი არ წარმოადგენს მარტო საბჭოთა ლიტერატურის კუთვნილებას. მისი აზრით, საფრანგეთშიც შეიძლება შეიქმნას სოციალისტური რეალიზმის ნაწარმოები. „კომუნისტები" ავტორის მოსაზრებას მთლიანად ადასტურებს. მართლაც, ეს ისეთი მხატვრული ნაწარმოებია რომელშიც მომაჯადოებელი ძალით, დიდი თვალსაჩინოებით გამოვლინებულია სოციალისტური რეალიზმის პრინციპები.

**ს. თურნავა.**

---

სექტემბრის პლენუმმა ფრიად სერიოზული და პასუხსაგები ამოცანები დასახა მეცხოველეობის შემდგომი განვითარების საქმეში. ამ ამოცანის გადაჭრის კონკრეტული გზები მოცემულია პარტიისა და მთავრობის მიერ მიღებულ უკანასკნელ დადგენილებებში. ჩვენს ქვეყანაში მეცხოველეობის წარმატებით განვითარება განუყრელად დაკავშირებულია მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკული გამოცდილება გვარწმუნებს, რომ მეცხოველეობის სულადობის ზრდას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას პირველ რიგში განსაზღვრავს ცხოველთა კვებისა და მოვლა-შენახვის პირობები. ბევრ კოლმეურნეობას ძვირად დაუჯდა გასული წლის ზამთარში უდარდელი დამოკიდებულება საკვების დაგროვების საქმისადმი. საკვების უქონლობისა და სადგომების მოუწყობლობის შედეგად ბევრი პირუტყვი დაიხოცა.

საკვების დამზადების მიმდინარეობიდან ჩანს, რომ რესპუბლიკის მთელი რიგი რაიონების, კოლმეურნეობებისა და მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა საჭირო დასკვნები ვერ გააკეთეს პარტიისა და მთავრობის მითითებებიდან და არ იღებენ ყველა ღონისძიებას საკვების დაგროვების დავალებათა შესრულებისათვის.

საკმაო რაოდენობით არ არის მომზადებული სასილოსე ნაგებობანი ახალციხის რაიონის სოფლების აგარის, მუგარეთის და მუსხის კოლმეურნეობებში, ხაშურის რაიონის სოფლების ქვიშხეთის, ზიჯნისის, გვერდისუბნის, წეკამის კოლმეურნეობებში.

მთელ რიგ კოლმეურნეობებში არსებულ სასილოსე ნაგებობათა ტევადობა ხელოვნურად არის გადიდებული და არ შეეფერება ფაქტიურად ჩადებული სილოსის რაოდენობას, რაც აშკარა თვალთმაქცობის, სახელმწიფოს მოტყუების ფაქტს წარმოადგენს. ასეთი შემთხვევები იყო გორის რაიონის სოფელ ბერბუკის და სოფელ ტინისხიდის კოლმეურნეობებში.

პირუტყვისათვის საზამთროდ მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად გამოყენებულ უნდა იქნას უხეში, წვნიანი და კონცენტრირებული საკვების დაგროვების ყველა საშუალება. წელს ხორბლეულისა და სიმინდის კარგი მოსავალი ხელსაყრელ პირობებს ქმნის ნამჯისა და სილოსის უხვად დამზადებისათვის. ეს შესაძლებლობანი მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ: თივა, ნამჯა, სიმინდის ჩალა, სილოსი, საკვები ძირხვენები, ბაღჩეული კულტურები, კვების მრეწველობის საწარმოთა ნარჩენები (თხლე, დურდო, ღლაბი), ტუბერიანი მცენარეები, საფურაჟე მარცვლეული და პირუტყვის კვების სხვა საშუალებანი მეტი რაოდენობით დავაგროვოთ, შევინახოთ და მომჭირნეობით გამოვიყენოთ.

პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით პირუტყვის საკვების დაგროვებისათვის დადგენილია მატერიალური დაინტერესებისა და შრომის წახალისების ღონისძიებანი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მკაცრად უნდა ადევნონ თვალყური ამ ღონისძიებების სწორად განხორციელებას.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის შემდეგ კოლმეურნეობებში ფართოდ გაიშალა მუშაობა მეცხოველეობის ფერმების კეთილმოწყობის, პირუტყვის შენახვისა და მოვლის პირობების გაუმჯობესებისათვის. გარეუბნის რაიონის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც გასული წლის შემოდგომაზე მოაწყეს ფერმის სამუშაოთა მექანიზაცია, დადგეს ავტოსარწყულებელი, მოაწყეს საკვების შესამზადებელი საამქრო, ელექტროწველა, შიდა ტრანსპორტის მექანიზაცია და გააუმჯობესეს კვების პირობები, ძროხების საშუალო წველადობა გასული წლის 1.760 ლიტრის ნაცვლად მიმდინარე წლის 1 სექტემბრისათვის უკვე 2.000 ლიტრს აღემატება.

მიმდინარე წელს ბევრ კოლმეურნეობაში მოეწყო მექანიზებული ფერმები. ბოლნისის რაიონის სტალინის სახელობის, გურჯაანის რაიონის სოფელ ველისციხის სტალინის სახელობის, სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოს კეცხოველის სახელობის, თელავის რაიონის სოფელ კურდღელაურის, სამტრედიის რაიონის სოფელ ლანირის, წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის და სხვა კოლმეურნეობებში ეწყობა მეცხოველეობის ახალი ფერმები მექანიზაციის სრული გამოყენებით.

მაგრამ ასე როდი მუშაობენ ყველგან. ქარელის, ახალქალაქის, წალკის, ახმეტის, გარდაბნის, გეგეჭკორის მტს-ებს, რომლებსაც დავალებული აქვთ განახორციელონ საკოლმეურნეო ფერმების მექანიზაცია, თითქმის არავითარი მუშაობა არ გაუწევიათ.

ქსუისის მტს-ი დროზე არ ასრულებს სტალინირის რაიონის სოფელ ერედვის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის დაკვეთებს, სადაც წელს ეწყობა მექანიზებული ფერმა.

ეს მდგომარეობა დაუყოვნებლივ უნდა გამოასწორონ მტს-ებისა და პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა.

სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდების, პირუტყვის საზოგადოებრივი სულადობის ზრდის უზრუნველყოფისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების ამოცანის შესრულებაში გადამწყვეტი როლი და ძირითადი პასუხისმგებლობა კვლავ მტს-ებს აქვთ დაკისრებული.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებმა, რომლებსაც შეგნებული აქვთ პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესრულების სირთულე, მიმდინარე წელს გაცილებით მეტი ნაყოფიერებით და მონდომებით იმუშავეს, ვიდრე წინა წლებში, მაგრამ მათს მუშაობაში ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია. მტს-ების საქმიანობის ძირითადი ნაკლია ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი გამოყენება, იარაღ-მანქანების არასრული დატვირთვა და დაბალი წარმადობა.

ბევრ მტს-ში მანქანა-ტრაქტორთა პარკის დიდი მოცდენები გამოწვეულია იმით, რომ ცუდად არის დაყენებული ტრაქტორების ტექნიკური მოვლა, სათანადოდ არ არის ორგანიზებული შრომა, დაბალია საწარმოო დისციპლინა, ნაკვეთებს დროზე არ ამზადებენ, ბრიგადებს დროზე არ ამარაგებენ წყლითა და საწვავით.

მტს-ების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ღონისძიებათა შესაბამისად საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ზომები მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მაღალკვალიფიციური კადრებით და მუდმივი მუშახელით უზრუნველყოფისათვის. მტს-ებში დაბრუნდა, ახლად გაიგზავნა და ჩარიცხულია შტატში მუდმივ სამუშაოზე 7.000-ზე მეტი ტრაქტორისტი, კომბაინერი, სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი და სხვა მუშაკი. მტს-ები ძირითადად დაკომპლექტებულია მცოდნე, საქმის მოყვარული და ენერგიული ადამიანებით.

აფენის მტს-ის მოწინავე კომბაინერი ვლადიმერ ყაველაშვილი მოსავლის მოკლე ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორია. 20 სამუშაო დღის განმავლობაში მან ხორბალი აიღო 571 ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 500 ჰექტარისა და გალეწა 1.033 ტონა მარცვალი.

ქედის მტს-ის კომბაინერმა იოსებ ყორიაულმა ჩვენს რესპუბლიკაში პირველად გამოიყენა ორი კომბაინის „სტალინეც-6" გადაბმა ერთ აგრეგატში და გალეწა 1.527 ტონა მარცვალი.

წელს კარგად იმუშავეს ალაზნის მტს-ის კომბაინერმა მიხეილ ლაზარიაშვილმა, ტარასი მენთეშაშვილმა, ლაგოდეხის მტს-ის კომბაინერმა ფირუზ რიჟამაძემ, ულიანოვკის მტს-ის კომბაინერმა ივანე ბაიდოშვილმა, ყვარლის მტს-ის კომბაინერმა სიმონ ბუთიაშვილმა და ბევრმა სხვამ.

მტს-ების, როგორც საკოლმეურნეო წარმოების ორგანიზატორების — ერთ-ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულებებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების დახმარებით ფართოდ გაავრცელონ და დანერგონ მეცნიერების მიღწევები, მოწინავეთა მუშაობის მეთოდები და გამოცდილება. პროგრესული ღონისძიებები ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით თვითეული კოლმეურნის, საბჭოთა მეურნეობის მუშისა და მტს-ის მუშაკის კუთვნილება უნდა გავხადოთ.

რესპუბლიკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურები ამჟამად მეტად პასუხსაგები სამუშაოების წინაშე დგანან. მათ მოსავლის აღებასთან ერთად მოკლე დროში უნდა დაამთავრონ მზრალად ხვნა და შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩაატარონ საშემოდგომო თესვა. მომავალი წლის მოსავალს, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში, ახლა ეყრება საფუძველი. იმაზე, თუ რამდენად სწრაფად, აგროტექნიკის დაცვით და მაღალხარისხოვნად ჩატარდება საშემოდგომო ხორბლის თესვა, თითქმის მთლიანად არის დამოკიდებული ამ კულტურის ზარაქიანი მოსავალი. საშემოდგომო თესვა რესპუბლიკაში უნდა დამთავრდეს არაუგვიანეს 20 ოქტომბრისა. მოწინავე მექანიზატორთა გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მტს-ების განკარგულებაში არსებული ტექნიკის რაციონალურად გამოყენებით ჩვენ შეგვიძლია გაცილებით უფრო ადრე დავამთავროთ საშემოდგომო თესვა.

საშემოდგომო სამუშაოების სამაგალითოდ ჩატარების, მეცხოველეობისათვის საჭირო რაოდენობით საკვების დამზადების, კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი სიმდიდრის გამრავლების და ამის საფუძველზე ყველა კოლმეურნეობაში შრომადღის ხვედრის ამაღლებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კოლმეურნეთა შრომითი აქტივობის ყოველმხრივი გაძლიერება, საწარმოო დისციპლინის შემდგომი განმტკიცება და კოლმეურნეობებისა და მტს-ების მუშაობის ურთიერთ შეთანაწყობა.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ სოფლის მეურნეობის აღმავლობის დარგში დასახული სერიოზული ამოცანების წარმატებით განხორციელება დიდად არის დამოკიდებული რაიკომებში შექმნილი მტს-ის ზონის ჯგუფების საქმიანობაზე, იმაზე, თუ რამდენად შესწევთ ამ ჯგუფებს უნარი მოახდინონ საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელთა და მტს-ების მუშაკთა ძალების მობილიზაცია ყოველ კოლმეურნეობაში პროდუქტების სიუხვის შექმნისათვის, სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა პირნათლად მოხდისათვის.

მტს-ის ზონის ჯგუფის შექმნამ კოლმეურნეობებისადმი ხელმძღვანელობა უფრო საქმიანი და კონკრეტული გახადა. მტს-ის ზონის ინსტრუქტორის და რაიკომის მდივნის მოვალეობაა მუშაობდნენ უშუალოდ მასებში, საკოლმეურნეო წარმოების უშუალო ობიექტებზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე, მეცხოველეობის ფერმებში, სატრაქტორო ბრიგადებში. მათი ენერგია, როგორც ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, უნდა იხარჯებოდეს არა ქაღალდების შედგენაზე, არამედ ცოცხალი ადამიანების ინსტრუქტაჟზე, კონკრეტულ საქმეებზე.

პარტიულ-ორგანიზაციული და პარტიულ პოლიტიკური მუშაობა (კრება, ლექცია, მოხსენება, აგიტსაუბარი და სხვ.) მოხერხებულად უნდა იყოს შეხამებული სამეურნეო საქმიანობასთან. მთელი აღმზრდელობითი და მასობრივი მუშაობა უნდა წარვმართოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველყოფისაკენ.

ამას წინათ შედგა საქართველოს მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. თათბირის მონაწილეებმა საქართველოს მტს-ების ყველა მუშაკს, კოლმეურნეს და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს მოწოდებით მოაწყონ სოციალისტური შეჯიბრება სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობისათვის.

მიმართვას ერთსულოვნად გამოეხმაურნენ რესპუბლიკის საკოლმეურნეო მინდვრების მშრომელები. ებმებიან რა სოციალისტურ შეჯიბრებაში, ისინი გაზრდილ ვალდებულებებს კისრულობენ.

სოფლის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სოფლის მეურნეობის მუშაკთა სოციალისტურ შეჯიბრებას, სისტემატურად შეამოწმონ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობა, სოციალისტური შეჯიბრების შედეგები გააცნონ თვითეულ მშრომელს, წაახალისონ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი და ფართოდ გააცნონ შესაბამისი სპეციალობისა და პროფესიის მუშაკებს მოწინავეთა მუშაობის ხერხები და მეთოდები.

ერთი წლის წინათ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა შეიმუშავა სოფლის მეურნეობის ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობის მეცნიერულად დასაბუთებული პროგრამა.

ამ ერთი წლის განმავლობაში მოპოვებული წარმატებანი მოწმობენ, თუ რამდენად დიდი შესაძლებლობებია სოციალისტური სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის, რამდენად დიდია რეზერვები, რომელთა მაქსიმალური გამოყენებით შეგვიძლია შევქმნათ პირობები პროდუქტების სიუხვისათვის.

გამოუყენებელი შესაძლებლობანი და რეზერვები სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ჩვენს რესპუბლიკაშიც ბევრია. საჭიროა გამოვიყენოთ ისინი მრავალფეროვანი სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხუთი წელი

პეკინი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს, როგორც კი ჩინეთის დედაქალაქში ირიჟრაჟა, პეკინის ქუჩებში გაისმა მხიარული სადღესასწაულო ხმაური, მუსიკა, სიმღერა. ყველგან ალმები, ლოზუნგები და პლაკატებია, რომლებიც ლაპარაკობენ იმ უდიდეს გამარჯვებებზე, რაც მოიპოვა სახალხო ჩინეთმა ხუთ წელიწადში.

სადღესასწაულოდ მორთულია პეკინის ცენტრი—ტიანანმინის მოედანი. ცენტრალურ ტრიბუნაზეა მაო ძე-დუნის პორტრეტი და ლოზუნგები: „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!", „გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს ხალხთა დიად ერთიანობას!". მთელი მოედანი მორთულია ალმებითა და დროშებით.

მოედანზე ჩამწკრივდნენ სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები, სამხედრო აკადემიის მსმენელები და სხვადასხვა სამხედრო სასწავლებლის კურსანტები. ტრიბუნებზე არიან ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები, სხვადასხვა დემოკრატიული პარტიების ხელმძღვანელები, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების დეპუტატები, მთავრობის დაწესებულებათა პასუხისმგებელი მუშაკები, პროფკავშირთა, ახალგაზრდობის და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციათა წარმომადგენლები, შრომის გმირები, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის გმირები, თვალსაჩინო მეცნიერები, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკები.

ტრიბუნებზე არიან დიპლომატიური კორპუსის წევრები, დელეგაცია ჩინელი სახალხო მოხალისეებისა, რომლებიც კორეაში იბრძოდნენ, აგრეთვე საბჭოთა კულტურის მოღვაწეთა დელეგაციის წევრები, სსრ კავშირის ეკონომიური და კულტურული მშენებლობის მიღწევათა გამოფენის მუშაკები, სსრ კავშირის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მსახიობები იგორ მოისეევის ხელმძღვანელობით, მრავალი კულტურული და საზოგადოებრივი დელეგაცია, რომლებიც ჩამოვიდნენ პოლონეთიდან, რუმინეთიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, ინდოეთიდან, ინდონეზიიდან, ბირმიდან და სხვა ქვეყნებიდან.

10 საათია. ყველა დამსწრე შეჰყურებს ტიანანმინის ცენტრალურ ტრიბუნას. შეკრებილნი მქუხარე ტაშით ეგებებიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარეს მაო ძე-დუნს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარის მოადგილეს ჟუ დეს, სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარეს ლიუ შაო-ცის, სახელმწიფო საბჭოს პრემიერს ჯოუ ენ-ლაის, სახელმწიფო საბჭოს პრემიერის მოადგილეს ჩენ იუნსა და ჩინეთის მთავრობისა და კომუნისტური პარტიის სხვა ხელმძღვანელებს, აგრეთვე საბჭოთა მთავრობის დელეგაციის ხელმძღვანელს ნ. ს. ხრუშჩოვს, დელეგაციის წევრებს ნ. ა. ბულგანინს, ა. ი. მიქოიანს, ნ. მ. შვერნიკს, მთავრობათა დელეგაციების მეთაურებს: პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბოლესლავ ბერუტს, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა — მარშალ კიმ ირ სენს, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა — გეორგე აპოსტოლს, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა — სამბას, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკისა — ვაცლავ კოპეცკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკისა — ანდრაშ ხეგედიუშს, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ლოტარ ბოლცს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — რაიკო დამიანოვს, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ხოანგ მინ ზიამს, ალბანეთის სახალხო რესპუბლიკისა — ბეჰარ შტიულას, აგრეთვე მთავრობათა დელეგაციების წევრებს, რომლებიც მოედანზე შემოდიან.

ქალაქ პეკინის მერი პინ ჟენი აცხადებს დღესასწაულის დაწყებას. ორკესტრი ასრულებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნს. საზეიმოდ გაისმის არტილერიის სადღესასწაულო სალუტი. როგორც კი დამთავრდა სალუტი, გაისმა ბრძანება „სმენა" და ტიანანმინის მოედანზე ჩამწკრივებული ჯარები გაირინდნენ. მოედანზე შემოდის ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი გენერალი პინ დე-ხუაი, რომელმაც მიიღო პარადის სარდლის გენერალ იან ჩენ-უს პატაკი და მასთან ერთად ჩამოუარა ჯარებს და მიულოცა მათ ეროვნული დღესასწაული — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის გამოცხადების ხუთი წლისთავი. მოედანზე გაისმის მძლავრი „ვაშა", რომლითაც პარადის მონაწილენი უპასუხებენ პინ დე-ხუაის მისალმებას.

ჯარების ჩამოვლის დამთავრებისთანავე გენერალი პინ დე-ხუაი ადის ტრიბუნაზე და კითხულობს შემდეგ სადღესასწაულო ბრძანებას:

„ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის ამხანაგო მეომრებო და მეთაურებო!

დღეს ჩვენ ვზეიმობთ დიდ დღესასწაულს — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის ხუთი წლისთავს. ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმია თავის ხალხთან ერთად მხურვალედ აღნიშნავს დიდ წარმატებებს, რომლებსაც მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ განვლილ ხუთ წელიწადში, აღნიშნავს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების პირველი სესიის წარმატებით დამთავრებას, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის მიღებას და ახალი ხელმძღვანელი სახელმწიფო ორგანოების შექმნას.

განვლილი ხუთი წლის მანძილზე ჩვენმა დიადმა სამშობლომ ჩინეთის კომუნისტური პარტიის, ცენტრალური სახალხო მთავრობისა და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის ხელმძღვანელობით, მიდიოდა რა სოციალიზმის მშენებლობისა და სოციალისტური გარდაქმნების გზით, უდიდეს წარმატებებს მიაღწია როგორც პოლიტიკის დარგში, ისე ეკონომიკისა და კულტურის დარგშიც. ამაღლდა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონე.

საომარი მოქმედების შეწყვეტა კორეაში და მშვიდობის აღდგენა ინდოჩინეთში იმას მოწმობს, რომ ჩვენმა ხალხმა დიდ საბჭოთა კავშირთან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებთან, ყველა მშვიდობისმოყვარე მეზობელ სახელმწიფოსთან, აგრეთვე მთელი მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ქვეყანასა და ხალხთან ერთად მიაღწია უდიდეს წარმატებებს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის ბრძოლაში, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის ბრძოლაში. ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი თანამშრომლობა ყველა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოსთან დღითიდღე სულ უფრო და უფრო მტკიცდება.

მიმდინარე წლის 15-დან 28 სექტემბრამდე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობდა საყოველთაო არჩევნების საფუძველზე არჩეული სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა პირველი მოწვევის კრების პირველი სესია.

როგორც თავმჯდომარე მაო ძე-დუნმა აღნიშნა, „ჩვენს ამ სესიას დიდი ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს არის ნიშანსვეტი, რომელიც მოასწავებს ახალ გამარჯვებებსა და ახალ წარმატებებს, რასაც ჩვენმა ხალხმა მიაღწია 1949 წლიდან ჩვენი რესპუბლიკის დაარსების მომენტიდან. კონსტიტუცია, რომელიც უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ამ სესიამ, მნიშვნელოვნად წასწევს წინ სოციალიზმის საქმეს ჩვენს ქვეყანაში".

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციაში ჩაწერილია, რომ „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალები ეკუთვნიან ხალხს". მაშასადამე, ჩვენმა არმიამ კვლავაც უნდა განავითაროს ხალხისადმი სამსახურის თავისი სახელოვანი ტრადიციები, მხარი დაუჭიროს მთავრობას, დაიცვას ხალხის ინტერესები, სანიმუშოდ დაიცვას კონსტიტუცია და კანონები, დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი და პატივი სცეს საზოგადოებრივი მორალის ნორმებს.

კონსტიტუციაში აღნიშნულია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების წმიდათაწმიდა მოვალეობაა „დაიცვან სახალხო რევოლუციის მონაპოვარნი და სახელმწიფოს მიღწევები მშენებლობის დარგში, დაიცვან ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა და უშიშროება". ამიტომ ტაივანის განთავისუფლებისათვის ბრძოლა ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი ომის ჯერ კიდევ შეუსრულებელი ამოცანაა. ტაივანის განთავისუფლება საპატიო ამოცანაა, რომელიც დაკისრებული აქვს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას. ჩვენმა არმიამ, რომელიც მთლიანად ემყარება ჩვენი ქვეყნის ხალხს და აორკეცებს თავის ღონისძიებებს, აუცილებლად უნდა მიაღწიოს ტაივანის განთავისუფლებას ამერიკის იმპერიალიზმისა და ჩან კაი-შის მოღალატური ხროვის ბატონობისაგან და არ შეწყვიტოს ბრძოლა, სანამ მიზანი მიღწეული არ იქნება. ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, და ჩვენ უთუოდ გავიმარჯვებთ.

იმ მიზნით, რომ გავათავისუფლოთ ტაივანი და თავიდან ავიცილოთ იმპერიალიზმის შესაძლებელი აგრესიული მოქმედება ჩვენი ქვეყნის წმიდათაწმიდა ტერიტორიის მიმართ, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველვყოთ მშვიდობიანი მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში და განვამტკიცოთ მშვიდობა აზიასა და მთელ მსოფლიოში, ვბრძანებ: მუდამ საბრძოლო მზადყოფნაში ვიყოთ, გავაძლიეროთ საბრძოლო და პოლიტიკური მომზადება, განვამტკიცოთ კონცენტრირებული, ერთიანი ნებისყოფა, ავამაღლოთ სოციალისტური შეგნება, ყოველი ღონისძიებით შევისწავლოთ საბჭოთა არმიის მთელი მოწინავე გამოცდილება, დავეუფლოთ თანამედროვე ბრძოლის წარმოების ხელოვნებას, განვავითაროთ რევოლუციური გმირობა, დავემორჩილოთ ბრძანებებს, დავიცვათ დისციპლინა და ვიბრძოლოთ ყოველი სამხედრო დავალების წარმატებით შესრულებისათვის!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას!

გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!

გაუმარჯოს ჩინეთის კომუნისტურ პარტიას— ყველა ჩვენი გამარჯვების ორგანიზატორს!

გაუმარჯოს ჩინელი ხალხის დიდ ბელადს თავმჯდომარე მაო ძე-დუნს!".

10 საათსა და 30 წუთზე გაისმის ბრძანება — დაიწყოს საზეიმო მარში.

პარადს იწყებენ სამხედრო აკადემიის — ჩინეთის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მეთაურთა კადრების მთავარი სკოლის მსმენელები. პარადში მონაწილეობა მიიღეს ყველა გვარეობის იარაღის ჯარებმა.

როცა მოედანზე მოტორების გუგუნით შემოვიდა მრისხანე საბრძოლო ტექნიკა, ჰაერში გამოჩნდა ოთხმოტორიანი საფლაგმანო ხომალდი ავიაგამანადგურებელთა ესკორტის თანხლებით. იწყება საჰაერო პარადი. მაღლა ცაში რგოლებად გაისრიალეს მძიმე ბომბდამშენებმა, გაიქროლეს ჩქარმა რეაქტიულმა ავიაგამანადგურებლებმა, რომლებიც სტვენით მიაპობდნენ ჰაერს.

პარადი დამთავრებულია. 11 საათზე გამოჩნდნენ დემონსტრანტების კოლონები. პეკინის მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციას იწყებს 1.300 მედროშე. წინ აღმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი. მოფრიალებენ წითელი ხუთვარსკვლავიანი დროშები, რომლებიც ნელა მიაქვთ მთელ მოედანზე. დემონსტრანტებს მოაქვთ მაო ძე-დუნის, ჟუ დეს, ლიუ შაო-ცის, ჯოუ ენ-ლაის, ჩენ იუნის და სუნ იატ-სენის პორტრეტები, მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის პორტრეტები, საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები და მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელთა პორტრეტები.

მოედანზე შემოდიან პიონერები — სოციალიზმის მომავალი მშენებლები. ყველა დამსწრე მათ მქუხარე ტაშით ეგებება. პიონერებმა მაღლა აუშვეს ასობით სხვადასხვა ფერის ბურთი, ჰაერში აფრენილი მტრედები ერთი წამით ჩამოეფარნენ მზეს.

წკრიალით გაისმის ახალგაზრდების ხმა: „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!", „გაუმარჯოს მშვიდობას!", „გაუმარჯოს მაო ძე-დუნს!".

პეკინის მუშათა კოლონებს მეთაურობს ჩინელ რკინიგზელთა სახელოვანი რაზმი. მათ მოაქვთ მრავალი დიაგრამა, ტრანსპარანტი, რომლებიც გვიჩვენებენ მათს მიღწევებს მშვიდობიან შემოქმედებით შრომაში. მოდიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის შიძინშანის მეტალურგიული ქარხნის, ჩანსინდიანის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის, პირველი მანქანათმშენებელი ქარხნის, სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელი ქარხნისა და ბევრი სხვა საწარმოს მუშები. ყველა ისინი უპატაკებენ ცხრა თვის გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. სანგრევი უროებით მოდიან ძინსიას ქვანახშირის მაღაროების მეშახტეები. პეკინის პირველი საფეიქრო ფაბრიკის ფეიქრებს მოაქვთ სხვადასხვა ნიმუშები ბამბის ქსოვილებისა, რომლებსაც უშვებს დედაქალაქის სამრეწველო საწარმო, რომელიც ახლახან ჩადგა მწყობრში.

ტიანანმინის მოედანზე შემოდიან პეკინის მეორე საფეიქრო ფაბრიკის მშენებლები, მრავალი ქარხნის, ფაბრიკის, სკოლის, ინსტიტუტის, საცხოვრებელი სახლისა და სახელმწიფო დაწესებულებების მშენებლები.

ტრანსპარანტებზე, რომლებიც მოაქვთ დემონსტრაციის მონაწილეთ, წარწერილია მისალმების გულთბილი სიტყვები მოძმე ხალხებისადმი, რომლებიც ჩინეთს ეხმარებიან სოციალიზმის მშენებლობაში. გაისმის სიტყვები, რომლებითაც გამარჯვებას უსურვებენ ჩინეთისა და საბჭოთა კავშირის დიდი ხალხების სამუდამო, ურღვევ მეგობრობას.

დემონსტრანტებს მოაქვთ პანოები და დიაგრამები, რომლებიც მოგვითხრობენ კულტურის დარგში ჩინელი ხალხის დიდ მიღწევებზე განვლილ ხუთ წელიწადში.

სამ საათზე მეტ ხანს გასტანა დედაქალაქის მშრომელთა ამ დიდებულმა დემონსტრაციამ, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 500 ათასზე მეტმა კაცმა. დემონსტრაციამ ჩაიარა ჩინელი ხალხის ერთიანობის ნიშნით, ჩინელი ხალხისა, რომელსაც მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იშრომოს ახალი გამარჯვებებისათვის, ჩინეთში სოციალიზმის მშენებლობისათვის, თავისი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ჩინეთის კომუნისტური პარტიისა და სახალხო მთავრობის გარშემო მშრომელი მასების დარაზმულობის ნიშნით. პეკინის მშრომელთა სადღესასწაულო მსვლელობა გადაიქცა იმის მძლავრ დემონსტრაციად, რომ ჩინელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი გაათავისუფლოს ჩინეთის ძველისძველი ტერიტორია — კუნძული ტაივანი და იბრძოლოს აზიისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

საღამოს ტიანანმინის მოედანზე, რომელიც პროჟექტორების შუქით იყო გაჩირაღდნებული, გაიმართა მასობრივი სახალხო სეირნობა.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მე-9 სესია

### 29 სექტემბრის პლენარული სხდომა

ნიუ-იორკი, 30 სექტემბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გუშინდელი დღის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს პანამის, სამხრეთ აფრიკის კავშირისა და კუბის წარმომადგენლებმა.

პანამისა და კუბის წარმომადგენლებმა მოითხოვეს, რომ გადიდდეს ეკონომიური დახმარება სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი, კერძოდ, ლათინური ამერიკის ქვეყნებისადმი. კუბის წარმომადგენელმა ამასთან ერთად მხარი დაუჭირა კერძო კაპიტალების მიზიდვის გადიდებას სუსტად განვითარებულ ქვეყნებში. პანამის წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა გისადომ მოითხოვა უარყოფილ იქნას მუდმივ წევრთა ერთხმივობის პრინციპი უშიშროების საბჭოში.

სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატმა, გამოხატა რა უკმაყოფილება იმის გამო, რომ დღის წესრიგში შეიტანეს მის ქვეყანაში რასობრივი დისკრიმინაციის საკითხი, განაცხადა, რომ გენერალური ასამბლეა სულ უფრო მეტს მუშაობს ისეთ საკითხებზე, რომლებიც თითქოს არ შედის მის კომპეტენციაში.

კუბისა და სამხრეთ აფრიკის კავშირის დელეგატებმა მხარი დაუჭირეს ამერიკის შეერთებული შტატების წინადადებას — განიხილონ ატომის ენერგიის საერთაშორისო ორგანოს შექმნის საკითხი.

## ა. ი. ვიშინსკის წერილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისადმი

ნიუ-იორკი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიის თავმჯდომარეს ვან კლეფენსს გაუგზავნა წერილი იმის შესახებ, რომ სესიის დღის წესრიგში შეტანილ იქნეს პუნქტი „ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის შესახებ". წერილში ნათქვამია:

1954 წლის 13 სექტემბერი.

პატივცემულო ბ-ნო თავმჯდომარევ, ამით პატივი მაქვს გთხოვოთ გენერალური ასამბლეის მეცხრე სესიის დღის წესრიგში დიდ მნიშვნელოვან და სასწრაფო საკითხად შეიტანოთ პუნქტი: „ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის შესახებ".

პროცედურის წესების მე-20 წესის შესაბამისად ვურთავ განმარტებით ბარათს ამ საკითხზე.

პატივისცემით ა. ი. ვიშინსკი. სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური.

### განმარტებითი ბარათი ჩინეთის ზღვების რაიონში ნაოსნობის თავისუფლების დარღვევის შესახებ

უკანასკნელ დროს გახშირდა ჩინეთის ზღვების რაიონში სხვადასხვა ქვეყნის სავაჭრო გემებზე მეკობრული თავდასხმის შემთხვევები და გომინდანელთა სამხედრო-საზღვაო გემების მიერ ამ გემების შეპყრობა. ასეთი დანაშაულებრივი მოქმედების მსხვერპლი გახდა საბჭოთა ტანკერი „ტუაფსე", რომელიც ჩანკაიშელებმა შეიპყრეს ამა წლის 23 ივნისს და რომელიც დღემდე არ გაუთავისუფლებიათ, ამასთან, არსებული ცნობებით, საბჭოთა გემის ეკიპაჟის წევრებს უხეშ ძალადობას აყენებენ.

დანაშაულებრივი მოქმედების სხვა მაგალითია გომინდანელთა სამხედრო-საზღვაო ძალების მიერ პოლონეთის სავაჭრო გემების „პრეზიდენტ გოტვალდის" ამა წლის 13 მაისს და „პრაცას" 1953 წლის 4 ოქტომბერს შეპყრობა.

არის ჩანკაიშელთა მეკობრული მოქმედების მთელი რიგი სხვა შემთხვევებიც დანიის, ინგლისისა და სხვა ქვეყნების სავაჭრო გემების მიმართ.

ასეთი მოქმედება ღია ზღვაში ნაოსნობის თავისუფლების საყოველთაოდ მიღებული პრინციპის უხეში დარღვევაა და წარმოადგენს დანაშაულს, რომელიც გენერალურმა ასამბლეამ მტკიცედ უნდა დაგმოს, მით უმეტეს, რომ ამ მოქმედებაში დამნაშავე არიან არა მარტო ჩანკაიშელები, არამედ ისინიც, ვინც მათ აქეზებს.

სსრ კავშირის დელეგაციის აზრით, ზემოაღნიშნული საფუძველს იძლევა გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში ახალ პუნქტად შეიტანოთ ეს დიდმნიშვნელოვანი და სასწრაფო საკითხი.

## მოსკოვს ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის დელეგაცია

30 სექტემბერს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მოწვევით, მოსკოვს ჩამოვიდა ინგლისის პარლამენტის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ლორდი კოულრეინი. დელეგაციაში შედიან ლორდთა პალატის წევრები — ჰერცოგი ველინგტონელი, ლორდი სტრაბოლჯი, ლორდი ლისტოუელი; თემთა პალატის წევრები — ნეს ედვარდსი (დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე), ნიქსონ ბრაუნი, ფრედერიკ ეროლი, ჩარლზ მოტ-რედკლიფი, ედიტ პიტი, ოტო პრაიორ-პალმერი, ელეინ ბერტონი, სტენლი ევანსი, არტურ ჰოლტი, კრისტოფერ მეიჰიუ, ჯორჯ უიგი, რალფ კლარკი.

დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე ინგლისის პარლამენტის დელეგაციას შეხვდნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. პ. ტარასოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები კ. ა. გუბინი, პ. ზ. ბიკოვი, ტ. მ. ზუევა, პ. პ. ლობანოვი, ლ. მ. ლეონოვი, ა. ე. პეტრუშევი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის კანცელარიის უფროსის მოადგილე დ. ქ. კონსტანტინოვი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე ე. გ. იაკოვლევი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების გამგეობის წევრი ლ. დ. კისლოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის სრულიად საკავშირო საზოგადოების პასუხისმგებელი მუშაკები და საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი და ინგლისის საელჩოს წევრები.

მ. პ. ტარასოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სახელით მიესალმა ინგლისის პარლამენტის დელეგაციას და თქვა, რომ საბჭოთა კავშირში ყოფნა ინგლისელ სტუმრებს საშუალებას მისცემს გაიცნონ ჩვენი ხალხის ცხოვრება, დაინახონ საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, და იმედი გამოთქვა, რომ ინგლისის პარლამენტის წევრების ჩამოსვლა ხელს შეუწყობს ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განმტკიცების საქმეს.

მისალმების პასუხად ლორდმა კოულრეინმა მადლობა გადაუხადა სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოს საბჭოთა კავშირში მოწვევისათვის.

— ჩვენ დიდად ბედნიერნი ვართ, — თქვა მან, — აქ რომ ჩამოვედით. ბევრი ჩვენგანი არასოდეს არ ყოფილა თქვენს ქვეყანაში. მაგრამ ჩვენ ყველანი გულთბილად ვიგონებთ ჩვენს თანამშრომლობას ომის დროს. ჩვენ, ყველა პარტიის წარმომადგენელნი, ბევრ რამეს მოველით ამ მოგზაურობისაგან. (საკდესი).

## ა. პ. ვოლკოვმა და ვ. ტ. ლაცისმა მიიღეს ინგლისის პარლამენტის წევრების დელეგაცია

30 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ ა. პ. ვოლკოვმა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარემ ვ. ტ. ლაცისმა მიიღეს დიდი ბრიტანეთის პარლამენტის წევრთა დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ლორდი კოულრეინი.

მიღებას დაესწრო დიდი ბრიტანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში უ. ჰეიტერი. (საკდესი).

## ბანდიტური თავდასხმები კომპარტიის შენობებზე რომში

რომი, 1 ოქტომბერი. (საკდესი). უკანასკნელ დღეებში ფაშისტი ბანდიტების ჯგუფებმა რომში მთელი რიგი პროვოკაციები ჩაიდინეს კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ. 27 სექტემბერს ღამით გრანატები შეაგდეს კომუნისტური პარტიის ორი სექციის შენობებში. 29 სექტემბერს საღამოს ფაშისტებმა ჩაამტვრიეს წიგნის მაღაზია „ლიბრერიო რინაშიტას" ვიტრინები. ეს მაღაზია იმ შენობაშია, სადაც მოთავსებულია კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობა. ფაშისტთა ჯგუფი ამას წინათ თავს დაესხა კომპარტიის ორი რაიონული სექციის მდივნებს.

კომპარტიის სექციების მდივნებმა გამოაქვეყნეს კომუნიკე, რომელიც ამხილებს ცდებს აალორძინონ ფაშისტური ტერორი „ხელისუფალთა თანამონაწილეობით, რომლებიც პროვოკატორებს მფარველობენ".

## ნერუს გამოსვლა

დელი, 30 სექტემბერი. (საკდესი). როგორც დელის რადიო გადმოგვცემს, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ, რომელმაც გუშინ პარლამენტში გახსნა კამათი საგარეო პოლიტიკის საკითხებზე, განაცხადა, რომ სანამ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა ყველას არ უცვნია, შორეული აღმოსავლეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის პრობლემები ვერ მოწესრიგდება. ნერუმ მხარი დაუჭირა იმას, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა მიიღონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში.

ილაპარაკა რა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების თავდაცვის ორგანიზაციაზე, ნერუმ აღნიშნა, რომ მანილის ხელშეკრულებამ მხოლოდ გააძლიერა არსებული დაძაბულობა და შეშფოთება. ხელსაყრელი ატმოსფერო, რომელიც ჟენევაში ხელმოწერილ შეთანხმებათა შედეგად შეიქმნა, მნიშვნელოვნად გაუარესდა მანილაში ხელმოწერილი ხელშეკრულების შედეგად.

ნერუმ კატეგორიულად განაცხადა:

ჩვენ არ გვეხება ის ხელშეკრულებანი, რომლებზეც ხელი არ მოგვიწერია, და ისინი ჩვენთვის სავალდებულოდ არ მიგვაჩნია.

## პიატნიცკის სახელობის გუნდი საქართველოში



საქართველოში საგასტროლოდ იმყოფება ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი ძლიერი შემოქმედებითი კოლექტივი — რუსული ხალხური სახელმწიფო გუნდი, რომელიც ატარებს მისი შემქმნელისა და პირველი ხელმძღვანელის, რუსული ხალხური სიმღერების საუკეთესო მცოდნის, შემგროვებლისა და შემსრულებლის მიტროფანე ექვთიმეს-ძე პიატნიცკის სახელს. გუნდი ჩამოსულია 170 კაცის შემადგენლობით.

გუნდი დიდი პოპულარობით სარგებლობს არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, აგრეთვე ინგლისში, საფრანგეთში, ინდოეთში, ნორვეგიაში და სხვ., სადაც იგი ყოფილა საგასტროლო მოგზაურობაში.

გუნდს ხელმძღვანელობენ დიდი პროფესიული ოსტატობის მქონე ნიჭიერი შემოქმედნი. სამხატვრო ხელმძღვანელები არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ზახაროვი და რსფსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი პ. კუზმინი. რუსული ხალხური ორკესტრის ხელმძღვანელია რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ხვატოვი, მოცეკვავეთა ჯგუფისა — რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ტ. უსტინოვა.

არსებობის 43 წლის მანძილზე გუნდი პირველად ჩამოვიდა საქართველოში. ამიტომ გასაგებია ის დიდი ინტერესი, რომელიც გამოიწვია გუნდის კონცერტებმა თბილისელ მშრომელებში.

გუნდმა თბილისში გამართა სამი კონცერტი ოფიცერთა სახლის საზაფხულო პარკში და ფილარმონიის საზაფხულო თეატრში.

მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა საკონცერტო პროგრამამ, რომელსაც „ჩვენი სივრცეების სიმღერები" ეწოდება. მასში შეტანილია ხალხური სიმღერები, შაირები, ცეკვები, ფერხული, საბჭოთა კომპოზიტორების ნაწარმოებები.

გამოსათხოვარ კონცერტზე, რომელიც 30 სექტემბერს გაიმართა, გუნდს მისასალმებელი სიტყვით მიმართა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ კომპოზიტორმა ივ. გოკიელმა. საპასუხო სიტყვა წარმოთქვა გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელმა პ. კუზმინმა, რომელმაც მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისათვის.

გარდა თბილისისა, გუნდი კონცერტებს გამართავს ბათუმსა და სოხუმში.

**სურათზე:** გუნდის მსახიობები (მარცხნიდან) პ. მაკაროვა, ლ. აფანასიევა და მეგარმონე ი. მოსკალოვი ხორმოვულ შაირებს ასრულებენ.

ფოტო შ. გოქაძისა.

## ეგვიპტეში ჩავიდა საბჭოთა კალათბურთელების გუნდი

კაირო, 30 სექტემბერი. (საკდესი). ეგვიპტის კალათბურთის ფედერაციის მოწვევით დღეს კაიროს ჩამოვიდა თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი.

თბილისის „დინამოს" კალათბურთელთა გუნდი მოაწყობს ხუთ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრას ეგვიპტის ორ ნაკრებ გუნდთან. პირველი თამაში გაიმართება ალექსანდრიაში 1 ოქტომბერს.

ეგვიპტის სპორტული საზოგადოებრიობა დიდ ინტერესს იჩენს მომავალი შეჯიბრებისადმი. პრესა წერს საბჭოთა კალათბურთელების მაღალ ოსტატობაზე.

## სსრ კავშირის პირველობაზე

მოსკოვი. 30 სექტემბერი. სსრ კავშირის 1954 წლის პირველობის გათამაშება ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება. ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ 4 შეხვედრა დარჩა. მორიგი ასპარეზობა გაიმართა დედაქალაქის „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე. თამაშობდნენ მოსკოვის „სპარტაკისა" და კიევის „დინამოს" გუნდები. საინტერესო შეჯიბრება დამთავრდა ფრედ ანგარიშით 1:1. კიევის „დინამომ" დაამთავრა ჩემპიონატის მატჩები და 26 ქულით მეხუთე ადგილი დაიკავა. დედაქალაქის „სპარტაკი" 21 თამაშიდან შეგროვებული 27 ქულით მესამე ადგილზეა.

## კოლმეურნე ფეხბურთელთა ასპარეზობა

ლვოვი. 29 სექტემბერი. აქ დაიწყო ნებაყოფლობითი სასოფლო სასპორტო საზოგადოება „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს პირველობის გათამაშება ფეხბურთში. ეს ასპარეზობა წარმოადგენს „კოლმეურნის" მესამე ჩემპიონატს. გასულ შეხვედრებში გამარჯვებული გამოვიდნენ კიევისა და რსფსრ-ის გუნდები. საქართველოს გუნდმა ორივე ჩემპიონატში მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

29 სექტემბერს ლვოვის ცენტრალურ სტადიონზე გაიმართა „კოლმეურნის" პირველობის გათამაშების მონაწილეთა პარადი. ხლმართეს ალამი. ამავე დღეს მოეწყო პირველი მატჩები. უზბეკეთისა და ბელორუსიის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობაში გამარჯვებული გამოვიდნენ უზბეკი ფეხბურთელები ანგარიშით 3:2. ლიტვის გუნდმა დაამარცხა თურქმენი ფეხბურთელები 2:1.

ლვოვი. 30 სექტემბერი. „კოლმეურნის" საკავშირო ჩემპიონატის მეორე დღეს პირველობის გათამაშებაში ჩაება საქართველოს გუნდი (მწვრთნელი ბერეჟნოი). ამ დღეს ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა დიდი ანგარიშით 7:0 დაამარცხა უზბეკეთის ფეხბურთელთა კოლექტივი. ბელორუსიისა და თურქმენეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა ფრედ 1:1.

რედაქტორის მოადგილე **რ. ქურციკიძე.**

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

დღეს და ყოველდღე
რსფსრ დამსახურებული არტისტის
**იური დუროვის**
**გასტროლები**
(შერეული ცხოველების ჯგუფი)
**დიდი საცირკო პროგრამა**
მონაწილეობენ:
**საბჭოთა ცირკის წამყვანი ოსტატები**

კვირას, 3 ოქტომბერს
**დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**
საღამოს წარმოდგენების დასაწყისი 8 ს. 30 წ. დღის წარმოდგენების დასაწყისი 12 ს. და 3 ს.
ბილეთები იყიდება სახელმწიფო ცირკის სალაროებში. მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

**ქ. თბილისის მუსიკალური ინსტრუმენტებისა და ავეჯის კომბინატს** ესაჭიროება მაღალი კვალიფიკაციის მე-6 და მე-7 თანრიგის დურგლები. მსურველნი უზრუნველყოფილი იქნებიან საცხოვრებელი ფართობით. ცნობისათვის მიმართეთ კომბინატის კადრების განყოფილებას — მაგნიტოგორსკის ქ. № 2, ტელეფონი № 3-24-81.

**სამტრესტს** საქართველოს რაიონებში სამუშაოდ ესაჭიროება **ინჟინერ-მშენებლები.**
მსურველები პირობების გასაგებად უნდა გამოცხადდნენ სამტრესტის კადრების განყოფილებაში. ლენინის ქ. № 59.

მეუღლე ელენე, შვილები გიორგი, ვერა, ალექსანდრე, ვლადიმერ თაგორაშვილები, სიძე შოთა, შვილიშვილები მზია, ნათელა ახალშენიშვილები იუწყებიან **თედორე გიორგის-ძე თაგორაშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-X, 8 ს. გამოსვენება 3-X, 4 ს. ბინიდან, ორჯონიკიძის ქ. № 21.

მეუღლე ილია, შვილი ავთანდილ, დედა ალათი, დები ანა, ლუბა, მერი, ლენა, თინა, ქსენია, მარგო, სიძეები ი. ვაჩაძე, ვ. ნემსაძე, ს. ვანიძე, მ. ჭელიძე და დისწულები იუწყებიან **ნადია ნიკიფორეს ასულ შავლაძე-ბიბილაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-X აგარაში (ამბროლაურის რ.).

ძმა მიხეილ, დები ნატო, ანეტა, რძლები პოლია, რაია, ძმისწულები ნათელა, ნუგზარ, ბიძაშვილები ვანო, ანასტასია კიკნაძეები, ი. შიუკაშვილი, ნ. ბიწკინაშვილი იუწყებიან **დავით გრიგოლის-ძე კიკნაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 2-X, 8 ს. გამოსვენება 3-X, 3 ს. ყაზბეგის ჩიხი № 1.

შვილები ვიქტორ, მიხეილ, ოლღა, ვალენტინა, რძალი მერი, შვილიშვილი თეიმურაზ ყანჩაველები, სიძე გიორგი, შვილიშვილები ვლადიმერ, მიხეილ ჭელიძეები იუწყებიან **ალექსანდრა ნიკოლოზის ასულ ყანჩაველის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 3-X, 5 ს. მცხეთაში.

შვილები მიხეილ, ლევან, ნატაშა რჩეულიშვილები, ძმა გიორგი ჯავახიშვილი, რძლები მარიამ, რუსუდან, ლიდა რჩეულიშვილები, ანასტასია ჯავახიშვილი ოჯახით და შვილიშვილები იუწყებიან **ალექსანდრა ალექსანდრეს ასულ რჩეულიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 3, 4-X, 8 ს. გამოსვენება 5-X, 5½ ს. რენინგერის ქ. № 4.

მშობლები მართა, მიხეილ, მეუღლე ლუბა, ძმები არსენ, ვასილ, ვახტანგ, მირიან, ვაჟა, რძლები ელენე, ქეთევან, თამარ, მარო იუწყებიან **გოგი მიხეილის-ძე ბექაურის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 5-X, 2 ს. ფასანაურში.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეებისა — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, ტელეფონები განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურის და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — [illegible], გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70.

უე 15440 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14